

ISSN 1987 – 5789

ESSN 2587- 5426



**ეკონომიკა და ბიზნესი**  
**ECONOMICS AND BUSINESS**  
**ЭКОНОМИКА И БИЗНЕС**

**1**

**ტომი XIII Volume**

**2020**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი  
საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Analytical Journal of the  
Faculty of Economics and Business,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,  
2015 წლიდან - კვარტალურად  
Publish since January 2008 once in two months,  
since 2015 – Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2  
თსუ მალღივი კორპუსი, III სართული, 317-316  
ტელ. +995 32 2 25 04 84

**მთ.რედაქტორი: 599794949, მოადგილე - 599103816, პ/მდ. - 599218384,  
მთ.სპეც. – 577970280**

Address: Tbilisi, University str. N2.

Tel: Chief Editor - 599794949, Deputy Chief Editor -599103816, Responsible Secretary –  
599218384, Chief Specialist – 577970280  
Tel: +995 32 2 25 04 84 - 9781, 9763, 9724

eb.tsu.ge  
e-mail: ebf.journal@tsu.ge

## სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **რამაზ აბესაძე**, **იური ანანიაშვილი**, **თეიმურაზ ბერიძე**, **სიმონ გელაშვილი**, **რევაზ გველესიანი**, **რევაზ გოგობია** (რედაქტორის მოადგილე), **თამაზ ზუბიაშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ნუგზახ თოდუა**, **იხაკი კოვზანაძე**, **იხაკი მანაგაძე**, **მუხთაზ მალხაძე**, **ედგუჯა მექვაბიშვილი** (მთავარი რედაქტორი), **დავით ნარმანია**, **ნუგზარ პაიჭაძე**, **ვლადიმერ პაპავა** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), **ლევან საბაური**, **ავთანდილ სილაგაძე** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), **დემურ სიჭინავა**, **მირიან ტუხაშვილი**, **გიორგი ლაღანიძე**, **თეიმურაზ შენგელია**, **ეთერ ხარაიშვილი**, **იოსებ ხელაშვილი**.

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

**ვოლფგანგ ვენგი** – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი; **დმიტრო ლუკიანენკო** – კიევის ვადიმ ჰეტმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი; **იან მიხაილუკი** – ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; **დომიტილი სოხოკინი** – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **იოსებია მ. კინგი** – ოსტფოლდის უნივერსიტეტის კოლეჯის ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერებების გამოყენებითი ეკონომიკის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი (ნორვეგია); **ამეზიან ფეხვინი** – გრენობლის ალპების უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი (საფრანგეთი); **ედიზაბეთ ჩაკო** – ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი (აშშ); **ცომას ჰაღდმა** – ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (ესტონეთი).

## EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: **Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia** (Deputy Redactor), **Eter Kharashvili, Ioseb Khelashvili, Irakli Kovzanadze, Irakli Managadze, Murtaz Maghradze, Elguja Mekvabishvili** (Redactor), **Davit Narmania, Nugzar Paichadze, Vladimir Papava** (Academician of Georgia National Academy of Sciences), **Levan Sabauri, Avtandil Silagadze** (Academician of Georgia National Academy of Sciences), **Temur Shengelia, Demur Sichinava, Nugzar Todua, Mirian Tukhashvili, Tamaz Zubiashvili** (Executive Secretary).

## FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

**Elizabeth Chako** – Professor of Geography and International Affairs, George Washington University (USA); **Ameziane Ferguène** – Professor of Economics, Grenoble Alps University (France); **Toomas Haldma** – Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor; **Roswitha M. King** – Leader of Research Group ‘Applied Economics,’ Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College (Norway); **Dmytro Lukianenko** – Vadym Hetman Kyiv National Economic University, Rector, Professor; **Jan Mikhalek** – University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; **Dmitry Sorokin** – Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; **Wolfgang Weng** – Berlin University, Professor.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II -  
საშობაო ეპისტოლე - 2020.....11

## ეკონომიკური თეორია ო ეკონომიკური პოლიტიკა

**პაატა კოლუაშვილი, იოსებ არჩვაძე** - საარსებო მინიმუმი საქართველოში და მისი ოპტიმალური დონის განსაზღვრის აუცილებლობა .....13

**გოგიტა თოდრაძე** - ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგია და დანერგვის თავისებურებანი .....30

**ნატალია კუბინი, ვიქტორია მაჩიციჩი, თამიდა კოსოვიცა** - სტრატეგიული რეგიონალური განვითარების პოტენციალის თანამედროვე შინაარსი .....41

## სოციალური პოლიტიკა ო დემოგრაფია

**ელისაბედ ჩაკო** - დახმარება და ქველმოქმედება: კავშირი დოაბას რეგიონის პენჯაბელ ემიგრანტებსა და მათ მშობლიურ ქალაქებს შორის .....52

**სიმონ გელაშვილი, მერაბ ხმალაძე, ზამირა შონია** - საქართველოს სტუდენტი-ახალგაზრდობის რეპროდუქციული განწყობა .....69

## მიკროეკონომიკა ო მაკროეკონომიკა ო ეკონომეტრიკა

**თენგიზ ვერულავა, რევაზ ჯორბენაძე** - პირველადი ჯანდაცვის მეკარიბჭეობა და მიმართვიანობა: პაციენტების თვალსაზრისი ოჯახის ექიმის როლზე .....80

**გვანცა სისოშვილი** - რისკის იდენტიფიკაციის თავისებურებები სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის პროცესში .....93

## ფინანსები და საბანკო საქმე ო აღრიცხვა, ანალიზი, აუდიტი

**ლევან საბაური, ნადეჟდა კვატაშიძე** - სესხის და კაპიტალის ფინანსური ინსტრუმენტების ზოგიერთი ასპექტი ..... 108

**მაია გოგობია** - კომერციული ბანკების მართვის ზოგიერთი თანამედროვე ტენდენცია ..... 118

**ღაშა დაბაძე, იახოსდავა ბაბიჩი, იჩაკვი გაბხიაძე** - კაპიტალის მარაგის და კაპიტალის უკუგების შეფასება საქართველოსთვის ..... 125

## ბიზნესი ო მენეჯმენტი ო მარკეტინგი ო ტურიზმი

**მანანა ხარხელი, გიორგი მორჩილაძე** - ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა ეფექტიანი ლიდერობისთვის ..... 144

<b>ჩარიტა ვაში</b> - სოციალური მედიის ახალი მარკეტინგული კონტექსტი (კონცეპტუალური მიმოხილვა) .....	152
<b>ნანა კაციტაძე, ინეზა ვანაძე</b> - რაჭის სოფლის ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებების ფორმირებისა და განვითარების მეთოდოლოგიური რეკომენდაციები .....	165

### **ინფორმაცია**

ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ 2019 წლის # 1-4 შინაარსი (ტ.12).....	184
---	-----

## CONTENTS

Catolicos-Patriarch of Georgia Ilia II - Christmas Epistle - 2020.....	11
--	----

### ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

<b>Paata Koguashvili, Joseph Archvadze</b> - The Subsistence Minimum in Georgia and the Necessity for Determining Its Optimal Level .....	13
<b>Gogita Todradze</b> - New Methodology of National Accounts System and Peculiarities of its Implementation .....	30
<b>Natalia Kubini, Viktoria Marhiticy, Tamila Kosovilka</b> - Modern Contents of Strategic Regional Development Potential .....	41

### SOCIAL POLICY ◊ DEMOGRAPHY

<b>Elizabeth Chacko</b> - Conspicuous Consumption and Philanthropy: Connections between Punjabi Immigrants from the Doaba Region and Their Hometowns.....	52
<b>Simon Gelashvili, Merab Khmaladze, Zamira Shonia</b> - Reproductive Disposition of Georgian Students and Youth .....	69

### MICROECONOMICS ◊ MACROECONOMICS ◊ ECONOMETRICS

<b>Tengiz Verulava, Revaz Jorbenadze</b> - Primary Care Gatekeeping and Referrals: Patient's View on the Family Physician Role .....	80
<b>Gvanca Sisoshvili</b> - Risk Identification Peculiarities in Public Procurement of Construction Works .....	93

### FINANCE, BANKING ◊ ACCOUNTING, AUDITING

<b>Levan Sabauri, Nadezhda Kvatashidze</b> - Some Aspects of Loan and Capital Financial Instruments .....	108
<b>Maia Gogokhia</b> - Some Modern Trends in the Management of Commercial Banks.....	118
<b>Lasha Labadze, Yaroslava Babych, Irakli Gabriadze</b> - Estimating Capital Stock and Return on Capital for Georgia .....	125

### BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING ◊ TOURISM

<b>Manana Kharkheli, Giorgi Morchiladze</b> - The Importance of Emotional Intelligence for Effective Leadership .....	144
<b>Charita Jashi</b> - The New Context of Marketing in Social Media	

(Conceptual review) ..... 152  
***Nana Katsitadze, Ineza Vatsadze*** - Methodological Recommendations  
for Forming and Developing Priority Directions of Racha Rural Tourism ..... 165

**INFORMATIONON**

The Content of the Journal “Economics and Business” in 2019 (V.XII, 1-4.)..... 184



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,  
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და  
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის საშობაო ეპისტოლე**

ყოვლადსამღვდელონო მღვდელ-მთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, მოგმართავთ, ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო და ყოველნო ერნო!



აჰა, დადგა ჟამი ღვთის განკაცების უდიდესი საიდუმლოსი. დღეს იშვა დამბადებელი, „რომლის მიერაც შეიქმნა ყოველი: მიწიერიც და ზეციერიც; ხილული თუ უხილავი, საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი, თუ ხელმწიფებანი“, დღეს იშვა ის, „ვის მიმართ და ვის მიერაც ყოველივე დაიბადა“ (კოლას.1,16).

ამიტომაც ახლა მორწმუნენი გონებით მივისწრაფვით ბეთლემისაკენ, რათა განვიცადოთ 2000 წელზე მეტი ხნის წინ დამდგარი უდიდებულესი ჟამი, როდესაც ამსოფლიური პატივისაგან მოკლებულ, აღთქმული მიწის ერთ ცივ და ბნელ გამოქვაბულში აღესრულა სასწაული, რომლის სადარი სამყაროში არაფერი მომხდარა და არც არასოდეს მოხდება.

მიუწვდომელი, გარეშემოუწერელი, მიუახლებელი ღმერთი განკაცდა, რათა კაცი განღმრთობილიყო; ქუმარიტი უფლის მადიდებელი ერის წიაღში, წმინდა დავით მეფის მოდგმაში, იშვა ძე ღვთისა და თვალშეუდგამმა ნათელმა ჩვენთან მარადიულად ყოფნა ინება; უკვდავმა მოკვდაობა, უხრწნელმა ხრწნადობა მიიღო, რათა ჩვენ მოკვდავნი და ხრწნადნი სიკვდილის საკვრელთაგან დავეხსენით.

დღეს ყოველნი მართლმორწმუნენი ქრისტეშობის მახარებელნი ვართ, რადგან ჩვეთან არს ღმერთი! დღეიდან მისი მომძიებელნი ვეზიარებით და უხვად მივიღებთ აქამდე მიუწვდომელ მადლთა სისავსეს – კეთილმსახურებათა ნიჭსა და უნარს და ხილულ და უხილავ სამყაროს შევ-

ღალადებთ: იხარებდით და აკურთხებდით შემოქმედს ცანი და ქვეყანა, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

იხარებდით და აკურთხებდით უფალსა უფლებათასა ანგელოზნი და ყოველი სულდგმულნი, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

იხარებდით და აკურთხებდით ახალ ადამს მეფენი და მამათმთავარნი, ერნი და ტომნი; აკურთხებდით უფლის ყოველ საქმეს, უგალობდით და განადიდებდით მას უკუნისამდე, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

რომ არა შენი საკვირველი შობა, კაცობრიობას არ ეყოლებოდა მაგალითი უაღმატებულესი სიყვარულისა და მშვიდობისმოყველისა, ჭეშმარიტი მეფისა, მოძღვრისა და მასწავლებლისა, სახე უზენაესი სიმდაბლისა და თავდადებისა, ერთგულებისა და მეგობრობისა; ხატი ზეციური მამა-ძეობისა.

ჩვენ, ამპარტავნებითა და განდიდების სურვილით შეპყრობილნი, საკუთარ თავს ვერასოდეს ვიპოვიდით, ეგოისტური „მეს“ მბრძანებლობას ვერ გავქეცოდით და არც დავთმობდით. შენ გვასწავლე, იესო, რომ სიყვარულშია ხსნა, რომ სიმდაბლესია – სიმაღლე, სიმარტივესა და უბრალოებაში – სიდიადე; მოყვასის მსახურებაში – სიხარული; გაცემაში – შეძენა და დათმენაში – გამარჯვება; რომ მტრის სიყვარულშია სიყვარულის სისრულე და სხვისთვის თავგანწირვაშია საკუთარი სულის პოვნად

შენი განხორციელებისათვის, მხსნელო, დედამინაც განემზადა და გიძღვნა ქალწულთა მშვენება, დედათა სიქადული – ნმინდა მარიამი. გიხაროდენ, ურჩეულესო ჭურჭელო, ყოველთა ნათესავთა შორის სანატრელო (ლუკ. 1.48);

გიხაროდენ, დედაო ღვთისა, ევას ცრემლთა აღმხოცო; ცხოვრების ხეო, სიცოცხლის ნაყოფის მომცემო;

გიხაროდენ, ცოცხალო ტაძარო ღვთისაო, ჩვენს ლოცვათა უფლისადმი აღმწვენელო.

უფლის განგებამ ინება, რომ შენი მზრუნველობით ჩვენც ღვთის ერი გავმხდარიყავით.

საუკუნეთა განმავლობაში მრავალფერ განსაცდელთაგან ვნებულმა მცირე სამწყსომ შენი მფარველობით გაუძლო ათას ქართველს და დარჩა ქრისტეს ერთგული. დღესაც შენ გასასოებს ჩვენი დამაშვრალი ერი, მრავალთაგან მრავალჯერ ნალალატები და ჯვარცმული, მაგრამ მაინც გაუტეხელი და ღვთის მოიმედე.

ჩვენც, მონანი და მხევალნი შენნი, მოგმართავთ ცისა და ქვეყნის დედოფალს: კვლავაც შეენიე უძღურებათა ჩვენთა, შეგვავედრე ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა, რათა ყოველნი მკვიდრნი იბერიისანი, შეცდომილნი ძენი და ასულნი ჩვენნი, გზასა ჭეშმარიტებისასა შეუდგენ; ბოროტმზრახველთა, მოშურნეთა და მაჭირვებელთა გულნი ღმობიერ-ჰყავ

და დაამშვიდე; დამნაშავეთ სინანული მიეც, საპყრობილეთა შინა მყოფთ – თავისუფლების სიხარული, უსამართლოთ – სამართალი, მშვიერთ – პური, შიშველთ – სამოსელი, უპოვართ – სარჩო-საბადებელი, კეთილად მუშაკთ – ღირსი სასყიდელიდ ურვათა მრავალთა დამტევნელო, ყოვლადუბინოო ღვთისმშობელო, ნუგეში-ეც მტირალთ, ყოველივე სასიკეთოდ წარუმართე მადლიერებით ჭირთა დამთმენილთ, ჭაბუკთა და ყრმათა სიმხნე მიჰმადლე და სულიერად განსწავლე, სნეულნი განკურნე, მცოვანნი შთამომავალთა კეთილდღეობით გაახარე, უცხოეთში მყოფნი თანამემამულენი სამშობლოში მშვიდობით დააბრუნე, იქ დარჩენილნი კი უფლის სადიდებლად და სამშობლოს საკეთილდღეოდ აღვანე.

განგვიმტკიცე სიყვარული, სასოება და შიში უფლისა, ერთგული მსახურება ეკლესიისა, მამულისა და მოყვასისა. მოგვმადლე გული წმინდა და სული წრფელი, გონება ნათელი და შემეცნების სიღრმე, სხეული ჯანსაღი და უვნებელი. გვაშორე მუცლადღებულ ყრმათა კვლა და თვითმკვლელობები.

აღადგინე, დალოცე და განამტკიცე საზღვარნი საქართველოისანი, და მას შინა მკვიდრნი დაიცევ „შიმშილისაგან, სრვისა, ძრვისა, ცეცხლისა, მახვილისა, ზედა მოსვლისაგან მტერთასა“, სტიქიონთავნებისაგან და ყოველი ბოროტი ძალის მანქანებისაგან; დალოცე და განამტკიცე ოჯახები ჩვენი და აკურთხე იგინი შვილთა სიმრავლითა და ნაყოფთა სიუხვითა.

გევედრებით, მეოხ-ეყავ მართლმადიდებლობით აღსრულებულთა ჩვენთა წინაპართა – მეფე-დედოფალთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, სამშობლოს ერთგულთა და თავდადებულთა მონათა და მხევალთა შენთა, მომხსენიებელთა გარეშე დარჩენილთა ყოველთა; გევედრები შორებელთა და მახლობელთათვის, რომელნი შეწევნასა ჩვენსა შემოვედრებულ არიან, რათა ყოველნი შემოქმედმან სავანესა მართალთათვის გამზადებულსა დაანესოს.

არ განგვეშორო, დედაო, არცა ჟამსა მას მეორედ მოსვლისა ძისა შენისასა და ჩვენ მსასოებელთა შენთა, მეოხ გვეყავ წინაშე მისა, რათა მართალთა თანა ვიხარებდეთ და ვადიდებდეთ დამბადებელსა ჩვენსა, ყოველთა შემწყნარებელსა და სიყვარულსა დაუსრულებელსა, მამასა და ძესა და წმინდასა სულსა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ბეთლემს შობილო ქრისტე ღმერთო, ამ დიდებულ ღამეს, სულითა და გონებით შენსკენ მოლტოლვილნი, კანდლად გინთებთ ჩვენს ლოცვა-ვედრებასა და ქება-დიდებას; ოქროს, გუნდრუკისა და მურის ნაცვლად ძღვნად მოგართმევთ ჩვენს გულებს, სიყვარულსა და ერთგულებას, კრძალვითა მოგეგებებით და ვხმობთ:

დიდება შენს მობრძანებას, ყრმაო, მშვიდობის მთავარო! (ეს.9,5)

დიდება შენს გარდამოსვლას, უფალო საბაოთ! (ეს. 37,16)

დიდება შენს მოვლინებას, ადონაი უფალო! (ეზ. 37.3)

გაკურთხებთ და აღგამაღლებთ შენ საუკუნითგან უკუნისამდე და ვაკურთხებთ მშობელსა შენსა, დედათა შორის კურთხეულს (ლუკა 1.42).

და კიდევ ერთხელ შეგთხოვთ, მოჰფინე შენი მშვიდობა, შენი წყალობა, ურნმუნობით დამძიმებულ მშფოთვარე მსოფლიოს; ავის და კარგის გარჩევის უნარი და სიბრძნე მოგვეც და შენი სასუფეველის მკვიდრნი გაგვხადე.

„ქრისტე იშვების, – ადიდებდეთ! ქრისტე ზეცით, – მიეგებვოდეთ! ქრისტე ქვეყანასა ზედა, – ამაღლდით! კვალად ბნელი დაიხსნების, კვალად ნათელი მოიქცევის! ძველნი წარხდეს, აჰა, იქმნა ყოველივე ახალ“ (გრ. ღვთისმეტყველი),

გიხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

**იღია II**

**სხუდიაჲ საქაიხვედოს კათოღიკოს-პაჭიიაჲი**

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა  
ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

---

საარსებო მინიმუმი საქართველოში და მისი ოპტიმალური  
დონის განსაზღვრის აუცილებლობა აუცილებლობა

**პაატა კოღუაშვილი**

პროფესორი

საქართველოს გეგნიკური

უნივერსიტეტი

paata\_koguashvili@hotmail.com

**იოსებ არჩვაძე**

პროფესორი

ქუთაისის უნივერსიტეტი

josepharchvadze@yahoo.com

საახსებო მინიმუმი წახმოადგენს სოციალურ ორიენტაციას, ცხოვრების დონის სოციალურ სტანდარტს. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი წლების განმავლობაში ახასხუდფასოვნად იკვებება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში უახლოეს მომავალში გადასაჭრედი პრობლემებიდან უპირველესს სწოხედ მოსახლეობის კვების ხაციონის გაუმჯობესება და მისი განმსაზღვრედი პირობის - სუხსათით უზრუნველყოფა წახმოადგენს. მოცემულ სტატიაში სწოხედ ამ თვადსაზრისით განიხილება საახსებო დონის მინიმუმის საკითხი და შემოთავაზებულია მისი ცვლილების აუცილებლობა.

**საკვანძო სიტყვები:** საახსებო მინიმუმი, ცხოვრების დონე, სასუხსათო უშიშოება, სუხსათით უზრუნველყოფა, სასუხსათო კადათა.

### შესავალი

საარსებო მინიმუმი, მისი კომპონენტების რაოდენობრივი პარამეტრები და ფაქტობრივი დაკმაყოფილების დონე ახასიათებს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ფაქტობრივ მდგომარეობას და განეკუთვნება ფუნდამენტურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემათა კატეგორიას.

აღნიშნული ინდიკატორი წარმოადგენს სოციალურ ორიენტაციას, ცხოვრების დონის სოციალურ სტანდარტს, რომელიც გამოიყენება გასაცემი ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, შემწეობებისა და სხვა სოცი-

ალური დახმარების ოდენობის განსაზღვრისათვის. საარსებო მინიმუმის სრული ღირებულება შედგება შრომისუნარიანი ადამიანის ნორმალური ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის აუცილებელი სასურსათო პროდუქტებისა (ე.წ. სასურსათო კალათა) და ასევე, პირველადი მოხმარების არასასურსათო ნაწარმისა და მომსახურების მინიმალური რაოდენობის ხარჯებისგან (საბაზრო ფასებით).

ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან (1991 წ.) დღემდე ჩატარებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ საქართველოს მოსახლეობა წლების განმავლობაში არასრულფასოვნად იკვებება, რაც დაბალი სოციალურ-ეკონომიკური პირობებითაა გამოწვეული, ვერ ახერხებს რეალური ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად შედარებით ძვირადღირებული პროდუქციის: ხორცის, რძისა და რძის პროდუქტების, თევზის, ხილის, ბოსტნეულის შესყიდვა-მოხმარებას და ძირითადად იაფფასიანი პროდუქტით – პურით იკმაყოფილებს მოთხოვნილებას საკვებზე, რაც რაციონის თითქმის ნახევარს შეადგენს მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი რაციონში მხოლოდ 12-15%-ია. ყოველივე ამის გამო, მოსახლეობა წლების განმავლობაში განიცდის ცილოვან დეფიციტს, ვიტამინებისა და მიკრო ელემენტების ნაკლებობას, რაც მთელ რიგ პათოლოგიურ დაავადებას იწვევს და რაზეც ბოლო წლების სტატისტიკაც მეტყველებს. საყურადღებოა ისიც, რომ მეცნიერების დასკვნებით, დაავადებათა 55% გამოწვეულია არასრულფასოვანი კვებით. ამასთან, ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ წინა ხელისუფლების დროს მდგომარეობა გაცილებით უარესი იყო: მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, 45% იყო ღარიბი და 35% - ლატაკი, ანუ - 1,3 მლნ ადამიანი. 2016 წლისთვის 13%-მა ანუ 500 ათასმა ადამიანმა დაძლია სიღატაკე, 22%, ანუ 800 ათასი ადამიანი იმავე დონეზე დარჩა; იმავდროულად, ღარიბებიდან 9% გადავიდა საშუალო ფენაში, რამაც საბოლოოდ 18% შეადგინა, თუმცა, ეს უკანასკნელი ჯერ მაინც ძალიან მცირეა, რადგან განვითარებულ ქვეყნებში ის 60-65%-ს შეადგენს (საქსტატი, 2018). საქართველო ისევ რჩება ღარიბი ქვეყნების რიგებში.

## **საქართველოში არსებული საარსებო მინიმუმის განსაზღვრის არსებითი ხარვეზები**

საქართველოში, უახლოეს მომავალში გადასაჭრელი პრობლემებიდან, უპირველესს სწორედ მოსახლეობის კვების რაციონის გაუმჯობესება და მისი განმსაზღვრელი პირობის - სურსათით უზრუნველყოფა წარმოადგენს. მისი გადანყვეტა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა. მასში მოიაზრება ქვეყნის უნარი (შესაძლებლობა) უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობა ძირითადი საკვები პროდუქტებით, ადგილობრივი რესურსების წარმოების ხარჯზე. ამის გარეშე კითხვის ნიშნის ქვეშ

დადგება არათუ საარსებო მინიმუმის დონეზე მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის შესაძლებლობა, არამედ გაიზრდება ხელისუფლების მოტივაცია და „ცდუნება“ გადასინჯოს ეს ნორმები შემცირების მიმართულებით დე-ფაქტო მდგომარეობის უკეთ წარმოჩენის მიზნით, როგორც ეს ერთხელ უკვე განხორციელდა 2003 წელს.

2003 წლის თებერვალში, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის არასრულფასოვანი კვება NATO-ს სოფლის მეურნეობისა და სურსათის კომიტეტმა საგანგაშოდ მიიჩნია და მიიღო ქმედითი ზომები, თავისი მოვალეობისა და შესაძლებლობის ფარგლებში, მისი გამოსწორებისთვის. სხვადასხვა დონორი ქვეყნის მხარდაჭერით, საქართველოს მოეწოდა ჰუმანიტარული სურსათი, გადმოირიცხა თანხები სოციალური პროგრამების განსახორციელებლად, ხოლო ქვეყნის ხელისუფლებას მითითა ღონისძიებების გატარების ფორმატისა და წესის შესახებ.

სამწუხაროდ, მაშინდელმა ხელისუფლებამ, იმავე წლის მაისში, ყოველგვარი საბიუჯეტო ხარჯების გაღებისა და სოციალური დახმარების ღონისძიებების გატარების გარეშე, „იპოვა გამოსავალი“ და რეალური სურათის დაფარვის მიზნით „კორექტივები“ შეიტანა საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზებულ საქართველოს მოსახლეობისათვის დადგენილ ფიზიოლოგიურ ნორმებში. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2003 წლის 8 მაისის ბრძანებით, სურსათის კალორიულობა - 2300 კკალ დამტკიცდა „ნორმად“. ამ ბრძანების თანახმად, ხორცის მოხმარების მაჩვენებელი 80 გრ/დღ 2,5-ჯერ ჩამორჩება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას (200 გრ/დღ), რძისა და რძის პროდუქტების ნორმა შემცირდა 4,5-ჯერ (!) - 960 გრამიდან 215 გრამამდე, ბოსტნეულის განახევრდა - 370 გრამიდან 182 გრამამდე, შაქარი შემცირდა 100 გრამიდან 55 გრამამდე, ხოლო იაფფასიანი პროდუქტის - პურის მოხმარების ნორმა 350 გრამიდან, რომელიც ისედაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა საერთაშორისო სტანდარტს (200 გრ/დღ) და მისი მაღალი ყუათიანობის გამო (100 გრ პური იძლევა 220 კკალ, ხორცი კი ორჯერ ნაკლებს, თანაც პური დიდად იაფია ხორცზე) გაზარდა 400 გრამამდე დღეში (!).

ამგვარი მეთოდოლოგიური მანიპულაციის შედეგად, ფიზიოლოგიურ ნორმად ჩაითვალა მინიმალური საკვების ის რაოდენობა, რის მიღებასაც მოსახლეობა ახერხებდა და მოხმარების მაჩვენებელიც ახალ „ნორმებს“ დაუახლოვდა, ზოგიერთი პროდუქტისთვის გადააჭარბა კიდევ (რძე და რძის ნაწარმი). ასე მარტივად „მოგვარდა“ სასურსათო უსაფრთხოების დარღვევის საგანგაშო მდგომარეობა, ბიუჯეტიდან ხარჯების განწვევის და სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე. შედეგად - ამ ე.წ. „ნორმების“ მიხედვით, ვიზუალურად ჩვენი მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების მდგომარეობა „არც თუ ისე სავალალოდ“ გამოჩნდა (!) (კოლუაშვილი, 2014).

უნდა აღინიშნოს, რომ უსახსრობის გამო, პურის დღიური მოხმარება 650-700 გრ-მდეც (საკვები რაციონის 60-65%-მდე) კი ადის, რაც განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს 4-5-ჯერ და მეტად აღემატება. მეორე მხრივ, ხორცის მოხმარება (საშუალოდ) მოსახლეობის კვების რაციონში, გამოხატული კალორიებში, 3-5%-ს არ აღემატება, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის კი - 1%-ს. აღნიშნული მანიპულაციის ჩატარების შედეგად, საკვებ რაციონში ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის აუცილებელი ინგრედიენტების: ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შემცველობაც მნიშვნელოვნად შეკვეცილია, უაღრესად დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება. ცილოვანთა დეფიციტი კი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით - ბავშვების, მოზარდებისა და ხანდაზმულებისთვის. კერძოდ, ცილა უნდა იყოს 100-120 გრ/დღეში, ფაქტობრივად კი, ნორმით დადგენილია 72 გრ/დღ, ცხიმი, შესაბამისად - 90-100 გრ/დღ და 72.2 გრ/დღ, ნახშირწყლები - 400-450 გრ/დღ და 334.3 გრ/დღ. თანაც, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ზემოხსენებული ბრძანებით, „რეკომენდებული“ ენერგეტიკული ღირებულება შეადგენს 2300 კკალ/დღ, რაც სრულიად შეუსაბამოა FAO-ს მიერ დადგენილ ნორმებთან, რომლის თანახმად 2500 კკალ-ზე დაბალი მაჩვენებელი არასრულფასოვან კვებად ითვლება და იგი დასაშვებია მხოლოდ ქვეყნის საგანგებო მდგომარეობის დროს, თანაც ხანმოკლე პერიოდით.

ასეთი დისბალანსი საკვებ რაციონში, ბუნებრივია, იწვევს პათოლოგიურ ცვლილებებს, ჯანმრთელობის გაუარესებას და ნეგატიურად აისახება მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე. განსაკუთრებით თვალშისაცემია ბავშვთა სიკვდილიანობა, რითაც საქართველოს „მონინავე“ ადგილი უჭირავს ევროპაში.

სურსათი სრულფასოვანია, თუ ის საკმარისი რაოდენობით შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელ ინგრედიენტებს: ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს. ამიტომ, ხელისუფლება ვალდებულია მოსახლეობას შეუქმნას ისეთი სოციალური პირობები, რომ მან შეძლოს ჯანმრთელობისთვის აუცილებელი რაოდენობის დაბალანსებული საკვების შეძენა-მოხმარება (კოლუაშვილი, 2014).

აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ საარსებო მინიმუმის განგარიშების წესში იყო კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება: შემცირებული საარსებო მინიმუმის მეტი დამატებლობისათვის, შემოტანილ იქნა ე.წ „შევაჭრების კოეფიციენტი“, რომლის მიხედვითაც შევაჭრების შედეგად გამყიდველი მყიდველს თავდაპირველად დასახელებულ ფასთან შედარებით 13.5%-ით იაფად უთმობდა (?!). რეალურად, არავითარი შევაჭრება სასურსათო პროდუქციაზე (განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობისათვის) არ არსებობს და არ უნდა ჩაითვალოს მართებულად მისი გათვალის-



წინება. ე.წ. „შევაჭრების კოეფიციენტზე“ მეტად გასათვალისწინებელია ის, რომ სასურსათო პროდუქციის დიდ უმრავლესობას გააჩნია დანაკარგები საკვებად გამოყენებამდე მექანიკური თუ თერმული დამუშავების პროცესში, ამიტომ უპრიანი და მართებულიც იქნება ამ დანაკარგების გათვალისწინება, რაც ზემოხსენებული შემცირების ნაცვლად, პირიქით, გაზრდის სასურსათო კალათის ღირებულებას.

მთლიანობაში, აღნიშნული ფარსი განხორციელებული იქნა სასურსათო კალათის ღირებულების შესამცირებლად, რათა რაც შეიძლება მეტად შემცირებულიყო ის უზარმაზარი განსხვავება, რაც რეალურ კალათასა და პენსიებს, შემწეობებსა და არსებობისათვის საჭირო სხვა თანხებს შორის არსებობდა (რაც სამწუხაროდ, დღესაც არსებობს). ამ ღონისძიებით ხელისუფლება შეეცადა დაეფარა სურსათის მოთხოვნა-მოხმარებას შორის არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობა და შეექმნა ნორმალურ მდგომარეობასთან მიახლოებული ვიზუალური სურათი.

თუ რამდენად ამახინჯებს დღეს მოქმედი მეთოდოლოგია რეალობას, ამის დემონსტრირებას შევეცდებით 2019 წლის სექტემბრის თვის მიხედვით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მაგალითზე. შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2019 წლის სექტემბერში, ოფიციალური სტატისტიკით, 189.9 ლარია (არჩვადე, 2019).

მოქმედი მეთოდოლოგიით, ამ თანხის 70% მოდის სურსათზე, ანუ საარსებო მინიმუმის სასურსათო კომპონენტი შეადგენს 132.93 ლარს ( $=189.9 \cdot 0.7$ ). მაგრამ 132.93 ლარი გაანგარიშებულია ე.წ. „შევაჭრების კოეფიციენტის“ გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც გამყიდველის მიერ თავდაპირველად დასახელებულ ფასთან შედარებით რეალიზაციის ფასი 13,5%-ით დაბალია (თოდრადე, 2019).

აღნიშნული პროპორცია მეტ-ნაკლებად მისაღები იყო 15-20 წლის წინ. მას შემდეგ გაიზარდა სპეციალიზებული სავაჭრო ქსელების და ობიექტების რაოდენობა, სადაც საქონელი იყიდება ფიქსირებული ფასებით (იქ შევაჭრება - გამორიცხულია). თვით აგრარულ ბაზრობებზეც კი იშვიათად წააწყდებით ფასების ამ მასშტაბით დაკლების შემთხვევას. შესაბამისად, მკვეთრად შემცირდა საქონელბრუნვაში იმ საქონლისა და მომსახურების წილი (შესაბამის სახეობათა ჩამონათვალი), სადაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს შევაჭრების საფუძველზე ფასდაკლების პრაქტიკას. ამიტომ, 13,5%-ანი ფასდაკლება - ეს სრული ანაქრონიზმია და ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ხსენებული „შევაჭრების კოეფიციენტი“ 5%-ზე მეტი არ უნდა იყოს (რეალურად კი, 2-3%-მდეა).

ამ გარემოების გათვალისწინებით, შევაჭრების კოეფიციენტის 5%-მდე შემცირების შემთხვევაში, საარსებო მინიმუმის სასურსათო კომპო-

ნენტი უნდა გაიზარდოს 11%-ით ( $=0,95: 0,865$ ). შესაბამისად, სასურსათო კომპონენტის ღირებულება იქნება არა 132,3 ლარი, არამედ -  $132,93 * 1,11 = 145,99$  ლარი.

თუ დაცული იქნება დიეტოლოგების მიერ შემოთავაზებული პროპორცია კალორიების მცენარეული და ცხოველური წარმომავლობის მიხედვით (40/60-ზე, ნაცვლად ამჟამინდელი 60/40-ისა), ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ყოველი 1000 კკალ-ის ღირებულებას: ცხოველური წარმომავლობის კალორიები მცენარეული წარმომავლობის კალორიებზე 5-6-ჯერ უფრო ძვირი ჯდება (მაგალითად, პურისა და საქონლის ხორცის მიხედვით ეს სხვაობა საქონლის ხორცის „სასარგებლოდ“, ბოლო მონაცემებით, უკვე 13-ჯერადაა) და ეს სხვაობა წლიდან წლამდე სულ უფრო იზრდება. პროპორციების ცხოველური წარმომავლობის კალორიების სასარგებლოდ შეცვლით საარსებო მინიმუმის სასურსათო კომპონენტი კიდევ უფრო გაიზრდება - არანაკლებ 30,8%-ით. შესაბამისად, საარსებო მინიმუმის სასურსათო კომპონენტი იქნება 190,86 ლარი ( $= 145,99 * 1,308$ ).

საარსებო მინიმუმში სასურსათო კომპონენტის წილი უნდა შემცირდეს 70%-დან 50%-მდე. ამჟამად, ყველაზე დაბალშემოსავლიან, პირველ დეცილურ ჯგუფშიც კი, სურსათზე ხარჯების წილი ასეთი შინამეურნეობების მთლიან ხარჯებში უკვე ჩამოსცდა 50%-იან ზღვარს, მაღალშემოსავლიანებში კი იგი გაცილებით დაბალია. შესაბამისად, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საარსებო მინიმუმი შრომისუნარიან მამაკაცზე გაანგარიშებით შეადგენს 381,92 ლარს - ამჟამინდელთან შედარებით 2-ჯერ (101,1%-ით) მეტს.

სამწუხაროდ, დღემდე სასურსათო კალათას და მისგან გამომდინარე საარსებო მინიმუმს 2003 წელს მიღებული ფორმით - მცდარი და შინააარსობრივად დანაშაულებრივი მეთოდიკით ანგარიშობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ახალმა ხელისუფლებამ თავიდანვე აღიარა, რომ განსაზღვრული საარსებო მინიმუმი არარეალურია და შეცვლას ექვემდებარება, თუმცა, ჯერჯერობით ის ფორმალურად ისევ შენარჩუნებულია (საქ.კანონი, 1997). ამის შედეგად იქმნება მცდარი სურათი მოსახლეობის მიერ მოხმარებული სურსათის საკმარისობის შესახებ, რაც მოსახლეობაში ქმნის ილუზიას, რომ მისი საკვები რაციონი (რომელიც სრულიად აცდენილია რეალურ ფიზიოლოგიურ ნორმებს) ნორმალურია და ფაქტობრივად ისინი სხვადასხვა მძიმე დაავადებების მსხვერპლნი ხდებიან.

ასევე არარეალური, დაბალი მაჩვენებლები დგინდება ქვეყანაში საჭირო სასურსათო პროდუქციის რაოდენობის შესახებ, რაც ხელშემშლელ გარემოებას ქმნის აგრარული სფეროს სხვადასხვა სექტორში. დღეისთვის აღნიშნული პრობლემისადმი ქვეყანაში დამკვიდრებული დამოკიდებულება და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების

არსებული პარამეტრები, არამარტო საფრთხეს უქმნის ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად საქართველოს მოსახლეობის გამოკვებას, არამედ პრაქტიკულად გამორიცხავს ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში და მთლიანობაში საფრთხის ქვეშ აყენებს ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების პერსპექტივას.

საქართველოსთვის ამ პრობლემის აქტუალურობას აძლიერებს საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციები, სურსათზე ფასების ზრდის დინამიკა, ეროვნული სასურსათო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა და ექსპორტ-იმპორტის ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომელიც არსებითად დიდი ოდენობის სურსათის იმპორტითაა განპირობებული (მარტო 2018 წელს საქართველოში იმპორტირებულ იქნა 1358,8 მლნ აშშ დოლარის სასურსათო პროდუქცია, ხოლო ექსპორტმა 959,3 მლნ დოლარი შეადგინა. მთლიანად, 2010 წლის შემდეგ პერიოდში საქართველოში იმპორტირებული აგროსასურსათო პროდუქციის ღირებულებამ შესაბამისი პერიოდისა და პროფილის ექსპორტს 4.5 მლრდ დოლარით გადააჭარბა).

მართალია, ეროვნული სასურსათო უშიშროება დაფუძნებულია საკუთარი წარმოების ძირითადი პროდუქტებით მოსახლეობის დაკმაყოფილებაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს სურსათის იმპორტზე საერთოდ უარის თქმას, რომლის გადიდება, როგორც წესი, იწვევს ადგილობრივი წარმოების გაჩანაგებას და სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის შემცირებას. ამიტომაც, რომ თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნები ხელმძღვანელობენ რა კონკურენტული უპირატესობის კანონის მოთხოვნებით, დასაშვებად მიიჩნევენ სამამულო ბაზარზე სურსათის იმპორტს 15-20%-ის ფარგლებში. ამ პირობებში არც ეკონომიკური სარგებლის მიღების შანსი იკარგება და არც კონკურენცია სუსტდება სამამულო საქონელმწარმოებელთა შორის. ამასთან, საფრთხე არ ემუქრება არც ეკონომიკურ და არც სასურსათო დამოუკიდებლობას.

## **ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი კომპონენტები და რეალური საარსებო მინიმუმის დანესების აუცილებლობა**

ქვეყნის სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოების) დაცვა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის სტაბილურ უზრუნველყოფას საკმარისი რაოდენობის, სრულფასოვანი, უვნებელი და ხელმისაწვდომი სურსათით, ვინაიდან სურსათი მიეკუთვნება ადამიანის პირველ სასიცოცხლო საჭიროებას, სასურსათო უსაფრთხოება პრაქტიკულად უტოლდება ფიზიკურ უსაფრთხოებას. სახელმწიფო რეგულირების ფორმისა და მეთოდის განსაზღვრისას, უპირატესობა უნდა მიეცეს იმ კონკრეტულ

ეკონომიკურ თუ ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, საბოლოო ანგარიშით, კი, ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფას. ამ ფონზე, საარსებო მინიმუმის სასურსათო კომპონენტების საორიენტაციო (ზღვრული) მაჩვენებლების შემცირება ეკონომიკისთვის (პირველ რიგში, აგროსასურსათო სექტორისთვის), აგრეთვე ხელისუფლებისთვის აგრარული, სასურსათო უსაფრთხოებისა და ზოგადად, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის არასწორი, მცდარი იმპულსების მიცემის საფუძველი გახდა.

ზოგადად, სასურსათო უსაფრთხოების ქვეშ 4 ძირითადი კომპონენტი უნდა მოვიაზროთ:

1. მოსახლეობის უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის სურსათით. ეს მიიღწევა როგორც ადგილობრივი სასურსათო პროდუქციის წარმოებით (თვითუზრუნველყოფა), ასევე არასაკმარისი პროდუქციის იმპორტით;

2. მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი და დაბალანსებული სურსათით. მოსახლეობისათვის შეთავაზებული სურსათი უნდა იყოს მრავალფეროვანი და ხარისხოვანი, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ სასურსათო პროდუქტის მიღებას ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად. ეს ნიშნავს სხვადასხვა სურსათის იმ რაოდენობით მოხმარებას, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის დაბალანსებულ მომარაგებას საჭირო ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით, ვიტამინებითა და ორგანიზმისთვის საჭირო მიკროელემენტებით.

3. მოსახლეობის უზრუნველყოფა უვნებელი სურსათით. შესაძლოა სურსათი რაოდენობრივად იყოს საკმარისი და დაცული იყოს მისი მოხმარების ბალანსი, მაგრამ შეიცავდეს ჯანმრთელობისათვის საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს და მიკრობიოლოგიურ დამბინძურებლებს (რადიონუკლიდები, მძიმე ლითონები, პესტიციდების, ნიტრატების ნარჩენები, სხვადასხვა ნეგატიური მოქმედების მიკრობები, ბაქტერიები და სხვ.).

4. მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურსათით. სურსათზე უნდა არსებობდეს როგორც ფიზიკური, ასევე მატერიალური ხელმისაწვდომობა. პირველში იგულისხმება ის, რომ საჭირო სურსათი ქვეყნის ნებისმიერი ადამიანისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი (კოლუაშვილი, 2016).

ფიზიკური ხელმისაწვდომობის არსებობისას, უკვე წინა პლანზე გამოდის სურსათზე ფინანსური ხელმისაწვდომობა, ანუ მომხმარებელს არამართო სურვილი, არამედ მისი შეძენის საშუალებაც უნდა გააჩნდეს. დღეისთვის ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის 72% არასრულყოფილად იკვებება. ეს პრობლემა ყველაზე აქტუალურია სასურსათო უსაფრთხოების დაცვის საქმეში. დღეისთვის, სიღარიბის პროფილს ქვეყანაში სწორედ სურსათისა და დაბალანსებული კვებისადმი მოსახლეობის მნიშ-

ვნელოვანი ნაწილის ფინანსური ხელმისაწვდომობის დაბალი დონე განსაზღვრავს.

რა მდგომარეობაშია სასურსათო პროდუქციის წარმოება საქართველოში და რამდენად ხორციელდება მოსახლეობის თვითუზრუნველყოფა სურსათით?

ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ სურსათის წარმოება 1990 წლიდან დღემდე ქვეყანაში 2-ჯერ და მეტადაა შემცირებული, ხოლო ეროვნული მეურნეობის ყველა დარგს შორის სოფლის მეურნეობას ზრდის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. – მისი საშუალოწლიური მატება 2011-2018 წლებში მხოლოდ 1,9% იყო, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში ეროვნული ეკონომიკა (ქვეყნის მსპ (სილაგაძე, პაპავა, 2019)). ყოველწლიურად საშუალოდ 4,6%-ით იზრდებოდა.

ქვემოთ მყვანილი ცხრილი კარგად წარმოაჩენს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დინამიკას ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისა და კვების ხარისხის დონეზე.

**სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 1988-2018 წლებში (ათასი ტონა)**

**ცხრილი 1**

პროდუქციის სახე	1988	2018	%-ით 1988 წ-თან შედარებით
მარცვლეული	714.0	363.7	50,9
კარტოფილი	326.0	237.5	72,9
ბოსტნეულ-ბალჩიეული	641.0	212.4	33,1
ხილი	658.0	188.2	28,6
ყურძენი	620.0	259.9	41,9
ციტრუსები	437.0	66.3	15,2
ჩაი	459.7	1.7	0,4
ხორცი	172.0	72.6	42,2
რძე	730.5	555.3	76,0
კვერცხი (მლნ ცალი)	890.0	634.8	71,3
მატყლი	6.8	1.9	27,9
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ათასი სული)	1548.0	878.9	56,8
ღორი (ათასი სული)	1099.2	163.2	14,8
ცხვარი (ათასი სული)	1894.0	869.4	45,9

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განვლილ წლებში ფაქტობრივად შეწყდა ისეთი სტრატეგიული ნედლეულის წარმოება, როგორიცაა ჩაი და თამბაქო (ეს უკანასკნელი სურსათს არ მიეკუთვნება, მაგრამ მემცენარეობის ეს დარგი უმნიშვნელო-

ვანესი იყო როგორც ადგილობრივი საწარმოებისთვის, ასევე თამბაქოს ნედლეული წარმატებით გამოიყენებოდა ექსპორტისათვის).

ადგილობრივი წარმოების შემცირების პარალელურად, ქვეყანაში შემოდის ისეთი სასურსათო პროდუქციაც რომლის ძირითადი მწარმოებელი თვით საქართველო უნდა იყოს (კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, სტაფილო და სხვა ბოსტნეული, ხილი). მაგ., 2018 წელს კარტოფილის იმპორტი, 2010 წელთან შედარებით, 4.1-ჯერ გაიზარდა (2.9 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა). მთლიანად, მხოლოდ 2011-2019 წლებში საქართველოში იმპორტირებულია 11.0 მლრდ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც ქვეყნის 2019 წლის მსპ-ის 92.5%-ია.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში გარდაუვალი სასურსათო კრიზისის თავიდან აცილების ან შედარებით იოლად დაძლევის მიზნით, დღეს პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ცდილობს მნიშვნელოვნად გაზარდოს სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი წარმოება და შეძლებისდაგვარად, მოახერხოს სურსათით თვითუზრუნველყოფა.

ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის ოფიციალური პარამეტრების გაცნობა (იხ. ცხრილი 2).

**აგრარული პროდუქციის ქვეყნისათვის ოპტიმალური, კრიტიკული და რეალური პარამეტრები (2018 წლის მდგომარეობით)**

**ცხრილი 2**

პროდუქციის სახე	ათასი ტონა		
	ოპტიმალური	დღეს არსებული	კრიტიკული
მარცვლეული	1300	220,7	750-800
კარტოფილი	450	228,8	250
ბოსტნეული	600	175,7	200-252
ხილი და კენკრა	580	180	300-330
მცენარეული ცხიმები	35	8,0	15-20
შაქარი	170	50	100-110
ხორცი (ცოცხალი წონით, 2018 წლის მონაცემებით)	150	72,6	85-90
ძროხის რძე (2018 წლის მონაცემებით)	990	555	550-570
კვერცხი, მლნ ცალი (2018 წლის მონაცემებით)	610	635	330-350

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში დღეისათვის არსებული სურსათის რესურსების მოცულობა (კვერცხის გამოკლებით) არა მარტო ოპტიმალურს, არამედ კრიტიკულსაც კი მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში მოყვანილი „ოპტიმალურიო პარამეტრები შეესაბამება ახალ „რეკომენდებულ“ ნორმებს, რომელიც სპეციალურად მნიშვნელოვნადაა შემცირებული საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით. ამის გამო ეს ნორმები, როგორც უკვე აღინიშნა, საგრძნობლად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ რეკომენდებულ ნორმებს. მაგალითად, „ახალი ფიზიოლოგიური ნორმების“ აშშ-ს მოქალაქეებისათვის დადგენილ ნორმებთან შედარებით აღმოჩნდა, რომ საქართველოს საშუალო ასაკის შრომისუნარიანი მამაკაცისთვის (31-50 წ.) განსაზღვრული ნორმები ბევრად ჩამორჩება არამართო იგივე კატეგორიის აშშ-ს მოქალაქისთვის რეკომენდებულ ნორმებს (კერძოდ, ხორცზე - 3,2-ჯერ, რძის პროდუქტებზე - 3-ჯერ, ხილზე - 2,3-ჯერ, ბოსტნეულზე - 2-ჯერ), არამედ მნიშვნელოვნად ნაკლებია 4 წლის ბავშვის ნორმებზედაც კი, რასაც აბსურდამდე მივყავართ. მაგალითად, საერთაშორისო სტანდარტების დაცვის შემთხვევაში საქართველოს უნდა გაგვეზარდა ხორცის წლიური მოხმარება თითქმის 80 თასი ტონით, ხოლო რძისა და რძის პროდუქტებისა (რძეზე გადაანგარიშებით) - 440 ათასი ტონით.

ნუთუ უხერხულობას არ უქმნის სტატისტიკის სამსახურს ის ფაქტი, რომ „ახალ ფიზიოლოგიურ ნორმებზე“ დაყრდნობით მათ მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებულ სასურსათო ბალანსებში იმის გამო, რომ არარეალური „ახალი ნორმების“ საფუძველზე უნევთ სურსათის თითოეული სახეობისთვის ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის მინიშნება, არასწორ, ცრუ ინფორმაციას აქვეყნებენ? ამის საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს, ქვეყნისთვის ბევრად ნაკლებია საჭირო სურსათის ესა თუ ის სახეობა, ვიდრე რეალურად გვჭირდება. მაგალითად, 2018 წლის სასურსათო ბალანსებში ხორცი თვითუზრუნველყოფა მითითებულია 67% და თითქოს ქვეყნის მოსახლეობისთვის საჭიროა 108 ათასი ტ/წ, მაშინ როცა რეალური თვითუზრუნველყოფა 27%-ია და საჭიროა 270 ათასი ტ/წ, რძე და რძის პროდუქტები თითქოს საჭიროა 290 ათასი ტ/წ და რეალურად კი - 1,3 მილიონი ტ/წ და ა.შ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ 2009 წლის შემდეგ, ჩვენ არ გვაქვს მწიერი ინფორმაცია კი მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარებისა და მისი უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ, რადგან 2010 წლიდან სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გაუქმებულ იქნა მასთან არსებული „სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორია“ და ფაქტობრივად აღარ მიმდინარეობს არანაირი კვლევა და სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება სასურსათო უსაფრთხოების თემატიკაზე.

საზოგადოების სასურსათო პრობლემა ზოგადად ორასპექტოვანია - ფიზიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური. ფიზიოლოგიურში იგულისხმება სასურსათო დეფიციტი და მისი უვარგისობა. ამ შემთხვევაში ადამი-

ანის მიერ მოხმარებული სურსათი ვერ, ან მხოლოდ ნაწილობრივ აღადგენს მის მიერ ცხოველმყოფელობის პროცესში დახარჯულ ენერჯიას, რაც გამოხატულებას პოულობს შიმშილში და იწვევს ადამიანის ორგანიზმის გამოფიტვას. რაც შეეხება სასურსათო უზრუნველყოფის დარღვევის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტს (მხედველობაში გვაქვს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც სამუდამოდ ან დროებით დაკარგა სამუშაო და ნაკლებ მყიდველ-უნარიანი გახდა, რომ უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილება საკვებზე), მას გლობალური უარყოფითი შედეგების გამომწვევა შეუძლია. როდესაც ანალოგიური შემთხვევა მასობრივ ხასიათს იღებს, საქმე გვაქვს სახელმწიფოს მძიმე ზოგადეკონომიკურ მდგომარეობასთან, რომელიც შესაძლოა სოციალურ აფეთქებაშიც გადაიზარდოს.

სასურსათო „თვითუზრუნველყოფა“ გულისხმობს კვების ძირითადი პროდუქტებით ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას ადგილობრივი წარმოების ხარჯზე. ამ შემთხვევაში ზუსტად არ არის განსაზღვრული სამამულო წარმოების ის მინიმუმი, რომელიც საკმარისია სასურსათო უშიშროების შესანარჩუნებლად. სხვადასხვა მოსაზრებით, ეს მონაცემი 80-85 %-ის ფარგლებში მერყეობს (ქვედა ზღვარია 60%), აღნიშნული მაჩვენებელი არის პირობითი ორიენტირი, თორემ თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, მდგომარეობას ყველაზე უკეთ ასახავს დევიზი - „დამოუკიდებელმა სახელმწიფომ უნდა აწარმოოს იმდენი სურსათი, რამდენის საშუალებასაც მისი ბიოგეოპოტენციალი იძლევა“.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ვასკვნით:

1. ამჟამად საქართველოში მოქმედი საარსებო მინიმუმი არარეალურია - იგი ქმნის მცდარ სურათს მოსახლეობის მიერ მოხმარებული სურსათის საკმარისობაზე, ილუზიას, რომ მისი საკვები რაციონი, რომელიც სრულიად აცდენილია რეალურ ფიზიოლოგიურ ნორმებს, ნორმალურია. შედეგად, მათზე ორიენტირება მოსახლეობის სხვადასხვა მძიმე დაავადების მსხვერპლად გახდომის რისკს ზრდის.

2. საარსებო მინიმუმში სასურსათო კალათას უნდა დაეთმოს არა 70% (რაც ყოველად მიუღებელია), არამედ 50% და სასურსათო მინიმუმში საკვები პროდუქტებისა და სხვა ხარჯების თანაფარდობა უნდა იყოს არა 70/30-ზე, არამედ - 50/50-ზე, რაც საბოლოოდ მოგვცემს დაახლოებით 520 ლარის ღირებულების საარსებო მინიმუმს.

3. ბევრი განვითარებული ქვეყნის მსგავსად, უმჯობესი იქნებოდა სასურსათო და არასასურსათო ხარჯების შეფარდება 30/70-ზე ყოფილიყო, მაგრამ ეს მოგვცემდა საარსებო მინიმუმის ისეთ ღირებულებას, რომელიც ჯერჯერობით ჩვენი ქვეყნისთვის მიუწვდომელია.

4. მიგვაჩნია, რომ რეალური საარსებო მინიმუმის დადგენისათვის საჭიროა: ა) აღვადგინოთ და დავყვრდნოთ საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებულ, საქართველოს მოსახლეობისთვის დადგენილ რეალურ ფიზიოლოგიურ ნორმებს; ბ) ამ ნორმების საფუძველზე სასურსათო



კალათის შედგენისას გამოვიყენოთ დღევანდელი ფასების გათვალისწინებით სურსათზე გასაწევი რეალური ხარჯების მაჩვენებელი.

5. რეალობის ადეკვატური ღირებულების საარსებო მინიმუმის ცხოვრებაში გასათარებლად საჭიროა სოციალური პროგრამების აქტიური განხორციელება სახელმწიფოებრივ დონეზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ხელფასების, პენსიების, შემწეობების მომატება, გადასახადებზე შეღავათების დაწესება და სხვა. ეს გაზრდის მოსახლეობის შემოსავლებს, გააუმჯობესებს მათ მყიდველობით უნარს, ხელმისაწვდომობას სურსათზე, პირველადი მოხმარების საგნებზე, მომსახურების სხვადასხვა სფეროზე.

6. გადაუდებელი და ამასთან უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საქართველოს გარდაქმნა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნად, ადეკვატური აგრარული სექტორით. შემდეგ ეტაპზე - კი პოსტინდუსტრიულ ქვეყნად, რომელიც თვითონ დაიკმაყოფილებს თავის სასურსათო და სხვა საარსებო მოთხოვნილებებს, ექნება დადებითი სალდო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობაში და ექსპორტის საგნად - მეცნიერებატევადი სამრეწველო და მაღალი ხარისხის ბიოაგროპროდუქცია, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საქართველოს სასურსათო და ზოგადად, ეკონომიკური უშიშროებაც, რის საფუძველზე დადგინდება რეალური საარსებო მინიმუმი და განხორციელდება მოსახლეობის ცალკეული ასაკობრივი თუ სოციალური ჯგუფების მონიტორინგი.

7. საჭიროდ მიგვაჩნია აღდგეს „სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორია“ ან მსგავსი სტრუქტურა, რომელიც განახორციელებს ადეკვატურ კვლევას და სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავებას სასურსათო უსაფრთხოების თემატიკაზე.

### ლიტერატურა:

- არჩვაძე ი. (2019). ხელისუფლება „ხელს იბანს“ იმ უმნიშვნელოვანესი ინდიკატორის გაანგარიშებაზე, რომელზეც ორიენტირებული უნდა იყოს სახელმწიფო.
- თოდრაძე გ. (2019). „საქსტატიო საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგიის გადახედვას არ გამოირიცხავს.
- კოლუაშვილი პ. (2016). საქართველომ კვების ეროვნული პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს. ჟურნ. ბიზნეს-ინჟინერინგი, N3-4, გვ.14.
- კოლუაშვილი პ. (2014). საარსებო მინიმუმის კვცა მოსახლეობის მკვლელობაა. ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, N2, გვ. 26.
- კოლუაშვილი პ. (2014). ქართველთა კვების სისტემა და ხასიათი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“ შრომების კრებული. ბათუმი, გვ. 275.
- როგორ ითვლიან საარსებო მინიმუმს? - 3.07.2019
- საქართველოს კანონი „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“. 1997.

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://geostat.ge>
- <https://commerciant.ge/ge/post/xelisufleba-xels-ibans-im-umnishvnelovanesi-indikatoris-gaangarishebaze-romelzec-orientirebuli-unda-iyos-saxelmwifo>
- <https://commerciant.ge/ge/post/saqstati-saarsebo-minimumis-gaangarishebis-metodologiis-gadaxedvas-ar-gamoricxavs>
- <http://loi.ge/media/pdf/eko-2014-2.pdf>
- <https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43STVJMbm5lRWphclE/view>
- <https://imedinews.ge/ge/theme/416/rogor-itvlian-saarsebo-minimums>
- <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29824?publication=7>
- <http://geostat.ge>

## References:

- Archvadze J. (2019). Khelisupleba „khels ibans“ im umnishvnelovanesi indikatoris gaangarishebaze, romelzets orientirebuli unda iqos sakhelmtsipo. [The Government Ignores the Calculation of the Indicator on which the State Should be Oriented]. (in Georgian).
- Todradze G. (2019). „Sakstati“ saarsebo minimumis gaangarishebis metodologiis gadakhedvas ar gamoritskhavs. [Geostat Does not Rule out Revision of Living Wage Methodology] (in Georgian.) Koguashvili P. Sakartvelom kvebis erovnuli politika unda sheimushaos.[Georgia Must Develop the National Politic of Nourishment. “Business Engineering”. N3-4, 2016. p.14.] (in Georgian.)
- Koguashvili P. (2014). Saarsebo minimumis kvetsa mosakhleobis mkvlelobaa.. [Reducing the Minimum Wage is Killing of Population. “The New Economist”. N2, pp. 26]. (in Georgian.)
- Koguashvili P. (2014). Qartvelta kvebis sistema da khasiati. batumis Shota Rustavelis sakhelmtsipo universiteti, V saertashoriso sametsniero-praktikulo konperentsiis „turizmi: ekonomika da biznesi“ shromebis krebuli. [The Nature and Nutrition System of Georgians. Batumi Shota Rustaveli State University. V Proceedings of the international conference “Tourism, Economics and Business”, Batumi, p. 275.] (in Georgian.)
- Rogor itvlian saarsebo minimums? [How to Calculate the Cost of Living? - 3.07.2019.] (in Georgian).
- Sakartvelos kanoni „saarsebo minimumis gaangarishebis tsesis shesakheb“. [Law of Georgia on Calculating the Cost of Living. 1997].
- Sakartvelos Statistiki Erovnuli Samsakhuri. [National Statistics Office of Georgia] .
- <https://commerciant.ge/ge/post/xelisufleba-xels-ibans-im-umnishvnelovanesi-indikatoris-gaangarishebaze-romelzec-orientirebuli-unda-iyos-saxelmwifo>
- <https://commerciant.ge/ge/post/saqstati-saarsebo-minimumis-gaangarishebis-metodologiis-gadaxedvas-ar-gamoricxavs>
- <http://loi.ge/media/pdf/eko-2014-2.pdf>
- <https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43STVJMbm5lRWphclE/view>
- <https://imedinews.ge/ge/theme/416/rogor-itvlian-saarsebo-minimums>
- <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29824?publication=7>
- <http://geostat.ge>

## **The Subsistence Minimum in Georgia and the Necessity for Determining Its Optimal Level**

**Paata Koguashvili**

*Professor*

*Georgian Technical University*

*paatakoguashvili@hotmail.com*

**Joseph Archvadze**

*Professor*

*Kutaisi University*

*josepharchvadze@yahoo.com*

Subsistence minimum is a kind of social reference, social standard of living used for fixing the amount of the wages, pensions, stipends, allowances and other social benefits. The full value of subsistence minimum consists of the cost of food products (the so-called “food basket”) required for a healthy and productive life of an able-bodied person as well as the minimum costs of non-food consumer products and services (at market prices).

The population of Georgia has been malnourished for years, unable to purchase and consume relatively expensive products (meat, milk and dairy products, fish, fruits, vegetables) in accordance with the real physiological standards, and satisfied food demands mostly by cheaper products, such as bread, which represents almost half the ration of food, while in the developed countries, the share of bread in the ration is only 12-15%. Because of all this, for years, the population has been suffering from protein deficiency, as well as lack of vitamins and microelements.

დიასპორის მუდმივი ინტერესი მათი წარმოშობის თემის კეთილდღეობის მიმართ, ხშირად გამოიხატება ქვეღმრთელებისა და გრძელვადიანი კავშირებით. პენჯაბში აშკარად ჩანს ემიგრანტების ფულადი, მატერიალური და სოციალური გავლენა იმ სასოფლო და საქალაქო დასახლებებზე, საიდანაც ისინი ემიგრაციაში წავიდნენ. თვალში საცემია ის მშენებლობები, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ლანდშაფტები, რომელიც მუდმივად გარდაიქმნება ფინანსური და სოციალური გზავნილების მეშვეობით, საქვეღმრთედო საწარმოებით და ემიგრანტებსა და ადგილობრივ, თუ სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობით.

მთლიანობაში, მიგრაცია პენჯაბის შტატიდან სხვა ქვეყნებში უმთავრესად ხდებოდა სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობის შედეგად, თუმცა, მიგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორები დროის სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული იყო სხვადასხვა ჯგუფის ადამიანებისათვის. ისტორიულად, ჯატ-სიკხები წარმოადგენდნენ ემიგრანტთა მთავარ თემს პენჯაბის შტატიდან. ჯატებს შორის, განსაკუთრებით ის ჯგუფები, ვინც სასოფლო-სამეურნეო მიწებს ფლობდნენ, ემიგრაცია წარმოადგენდა მათი სასოფლო ოჯახების სტრატეგიას, განსაკუთრებით ოჯახის ახალგაზრდა წევრებისათვის, რომელთაც არ სურდათ სასოფლო-სამეურნეო მიწების შემდგომი დანაწილება და აგრეთვე სურდათ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ემიგრანტთა გეგმა იყო ბეჯითი შრომა, ფულის გამომუშავება და ფულის დაზოგვა (რომლის უმეტესი ნაწილი გადაირიცხებოდა მშობლიურ სოფელში) და საბოლოოდ, სამშობლოში დაბრუნება როგორც წარმატებული მიგრანტი.

ტრადიციულად, გადარიცხული ფულადი სახსრები, გარდა იმისა, რომ ყოველდღიური საჭიროებისთვის და ემიგრანტთა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოიყენებოდა, ასევე წარიმართებოდა სტატუსის გამოსახატად რელიგიურ ინსტიტუტებში ან საქვეღმრთედო შემონირობების სახით.

იმიგრაციისა და ნატურალიზაციის პოლიტიკის ცვლილებამ ემიგრანტთა მიმღებ მთავარ ქვეყნებში - აშშ, კანადა, ბრიტანეთი და ავსტრალია, უზარმაზარი გავლენა მოახდინა მიგრანტთა ნაკადების ხასიათსა და შემადგენლობაზე 1960-იანი წლებიდან და შემდგომ პერიოდში. პენჯაბელი იმიგრანტები გაერთიანებულ სამეფოში 1950-იან და 1960-იანი წლების დასაწყისში, ძირითადად, მუშათა კლასის წარმომადგენლები იყვნენ და აკმაყოფილებდნენ დიდი ბრიტანეთის მოთხოვნას სამუშაო ძალაზე მის სამეურნეო დარგებში. როდესაც გაერთიანებულმა სამეფომ გაამკაცრა სა-

იმიგრაციო კანონები 1960-იან წლებში, ხოლო აშშ-მა და კანადამ შეარბილეს ეს კანონები, ამან მნიშვნელოვნად გაზარდა იმიგრანტთა (როგორც კვალიფიციური, ასევე არაკვალიფიციური) რაოდენობა მსოფლიოს განვითარებადი რეგიონებიდან. იმ პერიოდში იმიგრანტთა ძირითადი მიმღები რაიონები იყო კანადაში ვანკუვერი და ბრიტანეთის კოლუმბია და აშშ-ის ჩრდილო-დასავლეთი რაიონები, რომლებიც კვლავ განაგრძობდნენ არაკვალიფიციური იმიგრანტების მიღებას სპონსორობისა და ოჯახის გაერთიანების პროცესების გზით; პენჯაბელი იმიგრანტების მზარდ რაოდენობას შეადგენდნენ პროფესიონალები და მაღალკვალიფიციური სპეციალიტები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პირველი თაობის მიგრანტებსა და დიასპორებს შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ თავიანთი სოფლებისა და ქალაქების განვითარებაში, ოჯახის უახლოეს წევრებსა და ნათესავებზე ფულადი გზავნილების სახით, ბიზნესის ინვესტიციებით და ახალი საწარმოების შექმნით, როგორცაა: საწარმოო განყოფილებები და მომსახურება, ჯანდაცვის ცენტრები, სკოლები და სხვა სასწავლო ობიექტები, სპორტული მოედნები. პორტუგალი (2006) აღნიშნავს, რომ თუკი დიასპორა უნდა იყოს ჩართული მდგრად განვითარებაში, მიგრაცია უნდა იყოს ციკლური / ცირკულარული, რომლის დროსაც დაბალკვალიფიციური მიგრანტები ბრუნდებიან თავიანთი წარმოშობის ქვეყნებში დაზოგილი ფულით ინვესტიციებისთვის, ხოლო მაღალკვალიფიციური პროფესიონალი მიგრანტები მონაწილეობენ ტრანსნაციონალური საქმიანობაში და ხელს უწყობენ თავიანთი წარმოშობის ქვეყნის განვითარებას. ვინაიდან პირველი თაობის ბევრმა დაბალკვალიფიციურმა იმიგრანტმა პენჯაბის შტატიდან მიიღო მოქალაქეობა გაერთიანებული სამეფოში, აშშ-სა და კანადაში, სადაც ისინი მუდმივად დასახლდნენ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი ციკლურ მიგრაციაში ჩაერთვებიან. თუმცა, ბევრი სტუმრობს სამშობლოს, როდესაც ეს შესაძლებელია და ინარჩუნებს კონტაქტს ნათესავებსა და ახლობლებთან და ამგვარად - კავშირებს თავიანთ მშობლიურ სოფლებსა და ქალაქებთან.

**საკვანძო სიგეები:** პენჯაბის შტატი, ემიგრაცია, იმიგრაცია, დიასპორა, ფულადი გზავნილები.

## საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის რეპროდუქციული განწყობა<sup>1</sup>

**მერაბ ხმალაძე**

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციირებული პროფესორი  
merab.khmaladze@tsu.ge

**სიმონ გელაშვილი**

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი  
simon.gelashvili@tsu.ge

**ზამირა შონია**

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი  
zamira.shonia@tsu.ge

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ყოფილ საბჭოთა იუსპუბლიკებში, შეიქმნა საყოველთაო კრიზისი, რომელმაც მოიცვა ცხოვრების ყველა მხარე და, მათ შორის, დემოგრაფიული უსითიეთობები. უკიდურესად შემცირდა შობადობის დონე, რომელიც აკმაყოფილებდა მოსახლეობის მხოლოდ შეკვეციდი აღწახმოების მოთხოვნებს. 2018 წელს, 1990 წელთან შედარებით, დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები ბავშვი დაიბადა. მოსახლეობის აღწახმოების ასეთი იუჟიმის პირობებში მშობლების თაობა შვილების უფრო ნაკლები იიცხოვრობით იცვლებოდა. იყო წლები, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება ნულის გორი იყო. დღეისათვის დემოგრაფიული სიტუაცია ოდნავ გამოსწორდა, თუმცა, სასუხვედი მდგომარეობის მიღწევას მიაღწიდა წელი ესაჭიროება. მშობელთა თაობას თანაბარი იიცხოვრობით ცვლის შვილების თაობა, მაგამ მოსახლეობის აღწახმოების ასეთი იუჟიმი მიუღებელია საქართველოსთვის, რომლის მოსახლეობის იიცხოვრობაც პოსტსაბჭოთა პერიოდში, ანუ 1992-2018 წლებში კატასტროფულად შემცირდა (5,5 მდნ-დან 3,7 მდნ-მდე, ანუ 32.7 %-ით). ეს საგანგაშო მდგომარეობა და მოსახლეობის იიცხოვრობის ასეთი შემცირება აჩვეთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ახ მომხდახა.

1 სტატია მომზადდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2019 წლის საგრანტო კვლევითი პროექტ „საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობის“ ფარგლებში.

საქართველოს მასშტაბით, სტუდენტთა დემოგრაფიული განწყობის კვლევა პიხვედად ჩატახდა თსუ-ს ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე 2019 წელს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფაჩვებში - „საქართველოს სტუდენტი ახადგაზხდობის დემოგრაფიული განწყობა“. მიღებული მონაცემების დამუშავება და სათანადო მაჩვენებლების გაანგაჩიშება განხორციელდა კომპიუტერიული პროგრამა SPSS-ის გამოყენებით.

სტუდენტი ახადგაზხდობის ჰეპროექტიული განწყობა, ანუ დამოკიდებულება შვიდიანობის მიმაჩთ და მისი შესწავლა, მნიშვნელოვანი პირობაა საქართველოს დემოგრაფიული მომავლის პროგნოზირებისთვის. ჩვენ მიეჩ ჩატახებუდმა კვლევამ დამაიმედებელი შედეგები მოგვცა, კეჩოდ: სტუდენტებმა ოჯახში ბავშვთა სასუხვედ ჩიცხვედ დაასახელა 3 ბავშვი, ხოდო მოსალოდნედად - 2,8. ოჩივე ჩაოდენობა სხუდად უზხუნვედყოფს მოსახლეობის გაფაჩთობული აღწაჩმოების ჰეჟიმს, ჩა თქმა უნდა, მომავადში მისი ჰეაღიზების შემთხვევაში.

**საკვანძო სიგყვები:** დემოგრაფიული განწყობა, ჰეპროექტიული განწყობა, შობადობა, შობადობის მასტიმულირებელი ფაქტორები, შობადობის შემაფეჩხებელი ფაქტორები.

## კვლევის ისტორია

ადამიანების ნებისმიერი განწყობა ყალიბდება გარემო სოციუმის გავლენით. განწყობა, გარკვეული გარემო სიტუაციების ზეგავლენით, რეალიზდება ადამიანის თუ ადამიანების ქცევაში.

დემოგრაფიული განწყობის და დემოგრაფიული ქცევის თეორია დიმიტრი უზნაძის განწყობის და ქცევის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას ეყრდნობა, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1940 წელს სახელმძღვანელოში - „ზოგადი ფსიქოლოგია“, აღნიშნული სახელმძღვანელო კიდევ გამოიცა 2006 წელს (უზნაძე დ., 2006).

გამომდინარე დ. უზნაძის ფსიქოლოგიის თეორიიდან, ნებისმიერი დემოგრაფიული შემთხვევის, ფაქტის განხორციელება ადამიანის მიერ განპირობებულია გარკვეული გარემოებებით და რეალიზდება გააზრებულად, შეგნებულად. დ. უზნაძემდე, კავშირს გარემოებებსა და ცოცხალ ორგანიზმებს შორის, ხსნიდნენ მარტივად, ორი წევრით: გარემო - ქცევა. დ. უზნაძის თეორიით, გარემოს და ქცევას შორის არსებობს განწყობა, რასაც აყალიბებს გარემო, ხოლო განწყობა ზემოქმედებს ქცევაზე.

ყოველივე ცოცხალი, აღნიშნავდა დ. უზნაძე, ჩართულია მიზეზ-შედეგთა უწყვეტ ჯაჭვში და იმისათვის, რომ მასში რაიმე მოვლენის გაიგო, უთუოდ მისი მიზეზი უნდა გამოჩახო. ერთი სიტყვით, ყველაფერი მიზეზით არის განსაზღვრული. ყოველი ცოცხალი არსებისათვის, მეტად თუნაკლებად რთული ორგანიზმისათვის, ძირითადში მიზანშეწონილი ქცევაა დამახასიათებელი. ჩვენი პრობლემა, შესაბამისად, არის გავარკვიოთ

როგორაა შესაძლებელი, რომ ორგანიზმის, როგორც მატერიის ერთ-ერთი ფორმის ქცევა, უდავოდ მიზნობრივად იყოს განსაზღვრული, მაგრამ იმავე დროს მიზანშეწონილობითაც ხასიათდებოდეს. უდავოა, ქცევის ეს ნიშანი, მიზანშეწონილი ხასიათი, ცოცხალი ორგანიზმის რომელიღაც განსაკუთრებით სპეციფიკური თავისებურებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ცოცხალ ორგანიზმს, აღნიშნავს დ. უზნაძე, ის გარემოება ახასიათებს, რომ იგი ყოველთვის რაიმე მოთხოვნილების მატარებელია. ყოველ ცოცხალ ორგანიზმს ორი თავისებურება აქვს: მიზანშეწონილი ქცევა და მოთხოვნილება. ცოცხალი ორგანიზმი იკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ქცევას წინ უსწრებს სუბიექტის სპეციფიკური მდგომარეობა - განწყობა. რეპროდუქციული განწყობა არის ადამიანის მზადყოფნა ფსიქოფიზიკური აქტივობისათვის, მიმართული „ბავშვების ყოლის მოთხოვნილების“ დაკმაყოფილებისაკენ. რეპროდუქციული განწყობა წინ უსწრებს რეპროდუქციულ ქცევას, წარმოადგენს გარკვეული სახის მზადყოფნას და განსაზღვრავს რეპროდუქციული ქცევის მიმდინარეობას [ნულაძე, 2005, გვ. 233-234]. სანამ ცოცხალი არსება ზოგადად რაიმე მნიშვნელოვან საქციელს ჩაიდინდეს, იგი უკვე მანამდეა მოტივირებული, რომ მან სწორედ ეს ქცევა უნდა ჩაიდინოს. სხვანაირად: სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული. ამის შემდეგ დ. უზნაძე განმარტავს, რომ განწყობა არის სპეციფიკური მდგომარეობა, რომელიც ჩნდება სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად. განწყობის როლი ადამიანის ქცევის პროცესში ძალიან დიდია. მაგრამ ის უდიდესი მიღწევები, რომელიც ადამიანს აქვს მოპოვებული, განწყობის უშუალო გავლენით მაინც არ აიხსნება. ადამიანის სპეციფიკური თავისებურება და იმავე დროს მისი უდიდესი მონაპოვარი სწორედ ისაა, რომ მას ძალა შესწევს, თავის ქცევა განწყობის უშუალო ბატონობას ხელიდან გამოგლიჯოს, რათა იგი ცნობიერების აქტივობით გაშუალებულ განწყობას დაუმორჩილოს: ცნობიერება ადამიანის ქცევის უსპეციფიკურესი ფაქტორია.

დემოგრაფიული ქცევა დაკავშირებულია ნებელობასთან. ნებელობა, აღნიშნავს დ. უზნაძე, არის ადამიანის ქცევა, რომელიც დამოკიდებულია მის ნებაზე. ნებელობა მხოლოდ იმას ეხება, რის შესრულებაც ჩვენ ნებაზეა დამოკიდებული, ხოლო, რაც ჩვენთვის ხელმიუწვდომელია, ის ნებელობის საგანს არასდროს არ შეადგენს. ნამდვილს, ნებისმიერ ქცევას, დასძენს დ. უზნაძე, ყოველთვის თან ახლავს ერთგვარი განცდა, რომ ამის გაკეთება შეგვიძლია, რომ ამის შესრულება ჩვენ ხელთაა. ეს განცდა დამახასიათებელია ნებელობის პროცესისათვის.

დემოგრაფიული განწყობა არის ადამიანების შეხედულებების, დამოკიდებულებების კომპლექსი დემოგრაფიული პროცესების მიმართ,

რომელიც დეტალურად განხილულია მ. ხმალადის სახელმძღვანელოში (ხმალადე, 2009, გვ. 283-301). დემოგრაფიული განწყობა იყოფა რამდენიმე მიმართულებით: რეპროდუქციული განწყობა - დამოკიდებულება ოჯახში შვილიანობის მიმართ, თვითშენახვითი ქცევა - თვითშენახვითი განწყობა - დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ, მიგრაციული განწყობა და ქორწინებითი განწყობა.

შვილიანობა ახალგაზრდობის პრეროგატივაა, ხოლო ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი და გავლენიანი ნაწილია სტუდენტობა. საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, 2018-2019 სასწავლო წელს სტუდენტთა რიცხოვნობამ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეადგინა 151,2 ათასი, მათ შორის 3,5 ათასი (2,3%) - დოქტორანტია. ამავე წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა 19 სახელმწიფო და 55 ავტორიზებული კერძო უმაღლესი სასწავლებელი ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)).

2018-2019 სასწავლო წელს დაირღვა სტუდენტთა გენდერული ბალანსი. თუ 2000-2001 სასწავლო წელს კაცები შეადგენდნენ 53,0%-ს, 2018-2019 წელს ის 48,7%-მდე შემცირდა. თუ განვიხილავთ სტუდენტთა ასაკობრივ შემადგენლობას, აღმოჩნდება, რომ მათგან ყოველი მესამე, ანუ 31,4% არის 20 წლამდე ასაკის, 58,6% - 20-24 წლის, 7,9% - 25-29 წლის, 2,1% - 30 წლის და მეტი.

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული და, მათ შორის, რეპროდუქციული განწყობის შესწავლას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ პ. გუგუშვილის, ლ. ჩიქავას, მ. ტუხაშვილის, ა. თოთაძის, ვ. ლორთქიფანიძის, გ. წულაძის, თ. ზუბიაშვილის, ე. მენაბდიშვილის, გ. მელაძის, ზ. გოქაძის, რ. გაჩეჩილაძის, მ. შელიას, შ. წიკლაურის, თ. ღამბაშიძის, მ. ბეჟაიას, ზ. ცხოვრებაძის, ლ. ჭყონიას, მ. ჭიპაშვილის დამსახურება. მაგრამ, მათგან მხოლოდ ზ. გოქაძის საკანდიდატო დისერტაცია ეძღვნება კონკრეტულად ახალგაზრდობის პრობლემებს (გოქაძე, 1993). აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, მან გამოკითხა ქალაქ თბილისის ქართული და რუსული სკოლების სხვადასხვა ეროვნების ორივე სქესის 6-17 წლის ასაკის მოსწავლეები.

უშუალოდ სტუდენტი ახალგაზრდობის რეპროდუქციული განწყობა შეისწავლეს პ. გუგუშვილმა, ნ. მენაბდიშვილმა და დემოგრაფიის და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლებმა 2004-2005 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით შესრულებული პროექტით - „სტუდენტის ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა“, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელიც იყო მ. ხმალადე. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამივე ნაშრომი შესრულდა თბილისის მაგალითზე. მომდევნო წლებში ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობის შესახებ რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაცია გამოჩნდა (მაგალითად, მ. შელიას, შ. წიკლაურის და სხვათა ავტორობით).



პირველი, ვინც შეასრულა სტუდენტი - ახალგაზრდობის რეპროდუქციული განწყობის და ქცევის დემოსოციოლოგიური კვლევა, იყო აკადემიკოსი პ. გუგუშვილი. მან ნახევარი საუკუნის წინათ, ანუ 1970-იანი წლების დასაწყისში, შეისწავლა სტუდენტთა შეხედულებები ოჯახში ბავშვთა საშუალო რიცხვის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. კვლევის შედეგები გამოქვეყნდა პ. გუგუშვილის მონოგრაფიაში - „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“. აღნიშნული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ოჯახში ბავშვთა იდეალურ რიცხვად მიიჩნია: ორი ბავშვი - სტუდენტთა 7,1%-მა, 3 ბავშვი - 34,2%-მა, 4 ბავშვი - 49,4%-მა, 5 და მეტი ბავშვი - 9,3%-მა [გუგუშვილი, 1973, გვ. 116].

### კვლევის შედეგები

**საქართველოს მასშტაბით**, სტუდენტთა დემოგრაფიული განწყობის კვლევა პირველად ჩატარდა 2019 წელს თსუ-ს ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში - „საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა“. შესაბამისი კითხვარები დაიგზავნა და შევსებული ანკეტები მიღებული იქნა ელექტრონულად. ასევე, მიღებული მონაცემების დამუშავება და სათანადო მაჩვენებლების გაანგარიშება მოხდა პროგრამა SPSS-ის გამოყენებით.

აღნიშნული გამოკვლევის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მიღებულ იქნა 2307 შევსებული კითხვარი, რომელთაგან 1572, ანუ 68.1% იყო ქალი, ხოლო 735 (31.9%) - კაცი. აღნიშნული რიცხოვნობა სრულად პასუხობს შერჩევითი სტატისტიკური დაკვირვების წინაშე წაყენებულ მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, მათ შორის რეპრეზენტატივობას, რომლის უზრუნველსაყოფად

აუცილებელი იყო 2552 შევსებული ანკეტა.

მიღებული სტატისტიკური მონაცემები დამუშავდა სტუდენტთა რეპროდუქციულ განწყობაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით. შობადობის მოსალოდნელი დონის პროგნოზირებისათვის გამოკვლევის ანკეტა მოიცავდა კითხვას ოჯახში ბავშვთა სასურველი და დაგეგმილი (მოსალოდნელი) რიცხვის შესახებ. მიღებული პასუხების კრებისით მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 1.

საქართველოს მოსახლეობის და, საერთოდ, აღწარმოებისთვის ორშვილიანი ოჯახი უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას, ხოლო ორზე მეტი - გაფართოებულს. კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს დემოგრაფიული მომავალი უიმედოდ არ გამოიყურება. ორი

და სამი შვილი სასურველად დაასახელა გამოკითხულმა 69,8%-მა, ხოლო მოსალოდნელად - 72,6%-მა. ჩვენი გამოთვლებით, ბავშვთა საშუალო სასურველი რიცხვი სამის, ხოლო მოსალოდნელი - 2,8-ის ტოლია. სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩატარებული კვლევა განსხვავებულ შედეგებს იძლევა. მაგალითად, ა. თოთაძის გამოკვლევით, ახალგაზრდა კაცების 86,7%-ს და ქალების 94,7%-ს სურს სამი შვილის ყოლა [თოთაძე, 2014, გვ. 214]. ნ. მენაბდიშვილის გამოკვლევით კი, ოჯახში ბავშვთა სასურველი რიცხვი სტუდენტი ქალებისათვის არის 2,5, სტუდენტი კაცებისათვის კი - 2,7 (მენაბდიშვილი, 2004, 10).

**სტუდენტთა შეხედულებები ბავშვთა სასურველი და მოსალოდნელი რიცხვის შესახებ**

**ცხრილი 1**

	ბავშვების რიცხვი		პროცენტულად	
	სასურველი	მოსალოდნელი	სასურველი	მოსალოდნელი
ერთი	105	125	4,3	5,2
ორი	625	618	25,7	25,5
სამი	1027	1140	42,3	47,1
ოთხი	440	360	18,2	14,9
ხუთი და მეტი	160	115	6,6	4,6
არცერთი	65	64	2,9	2,7
სულ	2422	2422	100,0	100,0

საერთოდ, ოჯახში მეტი შვილი უნდათ კაცებს, ვიდრე ქალებს. საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მიერ 2004-2005 წლებში ჩატარებული გამოკვლევით, კაცებისათვის ოჯახში ბავშვების საშუალო სასურველი რიცხვი შეადგენდა 2,6-ს, ხოლო მოსალოდნელი - 2,44-ს. ქალებისათვის აღნიშნული მაჩვენებლები, შესაბამისად შეადგენდა, 2,6 და 2,4 (სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა, 2005, 65).

გამოკვლევით დადგინდა რეპროდუქციულ განწყობასა და შობადობის დონეზე მოქმედი როგორც შემაფერხებელი, ასევე მასტიმულირებელი ფაქტორების გავლენა.

თითოეულ ფაქტორს, მნიშვნელობის მიხედვით, მიენიჭა 1-დან 5-მდე ქულა.

ბავშვის ყოლის ხელშემშლელი ფაქტორები გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობის მიერ 4 და 5 ქულით შეფასდა. ყველაზე უფრო ხელშემშლელ ფაქტორებად დასახელდა შემოსავალი, ჯანმრთელობა და ბინა.

საინტერესო სურათი მივიღეთ იმის მიხედვით, თუ როგორი ვარაიაციაა ქულებს შორის თითოეული ხელშემშლელი ფაქტორის მიხედვით, რომელიც შევაფასეთ ვარაიაციის ნრფივი კოეფიციენტით. შეხედულებათა გან-

სხვაებებში ყველაზე მაღალი ვარიაციით ხასიათდება ჯანმრთელობა - 88,4%, შემდეგ მოდის შემოსავალი - 80,4%, ბინა - 70%, გადატვირთული სამუშაო გრაფიკი - 41,2%, სწავლა - 32,2%, კარიერა - 29,0%. ყველაზე ნაკლები განსხვავებები დაფიქსირდა სკოლამდელი დაწესებულებების უკმარისობაზე შეხედულებებში - 17,8%. როგორც აღმოჩნდა, სტრუქტურული შეხედულებები შობადობის შემზღუდველ ფაქტორებზე რადიკალურად განსხვავებულია. ამიტომ, საჭიროა მათი გათვალისწინება შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას. ამასთანავე, გამოკითხულთა მხოლოდ 61,0%-მა აღნიშნა, რომ ნარკოტიკების მოხმარება უარყოფითად იმოქმედებს შობადობაზე. შესაბამისად, სტრუქტურული მნიშვნელოვანი ნაწილი (39,0%) თვლის, რომ ნარკოტიკების მოხმარება უარყოფითად არ იმოქმედებს შობადობაზე, რაც უაღრესად შემაშფოთებელი ფაქტია. აღნიშნული მდგომარეობა საჭიროებს მთლიანად საზოგადოების სერიოზულ დაფიქრებას.

**ბავშვთა ყოლის ხელშემშლელი ფაქტორები**

**ცხრილი 2**

ფაქტორები	ქულები პროცენტებით					სულ
	1	2	3	4	5	
სწავლა	10,5	13,6	20,7	19,8	35,4	100
შემოსავალი	6,4	6,4	7,6	18,9	60,7	100
ჯანმრთელობა	6,1	6,1	5,7	17,9	64,2	100
ბინა	5,6	7,0	12,4	25,0	50,0	100
სკოლამდელი დაწესებულებების უკმარისობა	16,6	19,0	28,9	16,5	19,0	100
კარიერა	10,2	15,3	24,8	25,9	23,8	100
გადატვირთული სამუშაო გრაფიკი	7,9	12,4	19,1	25,6	35,0	100
პესიმისტური განწყობა მომავლისადმი	11,4	13,2	16,7	22,1	36,6	100

რაც შეეხება შობადობის მასტიმულირებელ ფაქტორებს, შეფასებები შემდეგნაირად განაწილდა (იხ. ცხრილი 3).

მასტიმულირებელი ფაქტორებიდან, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ყველაზე დაბალი შეფასება მიეცა მშობლების დახმარებას და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობას. დანარჩენ ფაქტორებს, განსაკუთრებით, ჯანმრთელობის მდგომარეობას, დასაქმებას და შემოსავლებს, მიეცა ყველაზე მაღალი (5 ქულა) შეფასება. შეხედულებათა

ვარიაცია, რანჟირებული კლებადობის მიხედვით, შემდეგნაირია: დასაქმება - 92,8%, შემოსავალი - 89,8%, საბინაო პირობები - 81,2%, სწავლის დასრულება - 71,6%, კარიერა - 43,2%, მშობლების დახმარება - 25,2%, სკოლამდელი დაწესებულებების ხელმისაწვდომობა - 5%.

**ბავშვების ყოლის მასტიმულირებელი ფაქტორები**

**ცხრილი 3**

ფაქტორები	ქულები პროცენტებში					სულ
	1	2	3	4	5	
სწავლის დასრულება	9,3	7,3	12,8	14,8	55,8	100
დასაქმება	5,4	6,7	7,1	14,4	66,4	100
მშობლების დახმარება	10,9	16,5	24,7	23,4	24,5	100
შემოსავალი	5,6	4,9	6,0	18,6	64,9	100
ჯანმრთელობის მდგომარეობა	6,9	4,3	2,8	12,9	73,1	100
საბინაო პირობები	6,7	5,1	7,6	21,3	59,3	100
სკოლამდელი დაწესებულების ხელმისაწვდომობა	12,5	15,2	20,6	22,9	28,8	100
კარიერა	8,6	10,5	19,3	24,1	37,5	100

საქართველოს სტუდენტობას ორიენტაცია აღებული აქვს სამშვილიან ოჯახზე და მათი დაახლოებით 70% შობადობის ყველა დადებით ფაქტორს განიხილავს სამ შვილთან მიმართებით. მეორე ადგილზეა ორშვილიანი ოჯახი. ამასთანავე, არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ სტუდენტების 2,7% არცერთი შვილის გაჩენას არ გეგმავს. ჩვენმა გამოკვლევამ გაითვალისწინა იმ გარემოცვის შესწავლაც, რაც ზემოქმედებს რეპროდუქციული განწყობის ფორმირებაზე. აღსანიშნავია, რომ შვილის ყოლაზე ოჯახის

წევრის გავლენა დააფიქსირა გამოკითხულთა 95,0%-მა, შემდეგ მოდის მოძღვარი - 68,6%, დემოგრაფიული პოლიტიკა - 68,6%, მეგობრის აზრი - 68,8% და მედიის გავლენა - 69,1%.

როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, შვილიანობა მცირდება თაობიდან თაობაში. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა შობადობის როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი მაჩვენებლებიც. საქართველოში 2018 წელს, 1990 წელთან შედარებით, დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები ბავშვი დაიბადა (თოთაძე, 2018, 5).

აღნიშნული გამოკვლევით, სტუდენტების პაპა-ბებიების ერთ ოჯახს ჰყავდა 3,8 შვილი, ხოლო მშობლების ერთ ოჯახს - 3,3. დაახლოებით ანალოგიური შედეგები მიიღო ვ. ლორთქიფანიძემ. მისი გამოკვლევით, გამოკითხულ დაუქორწინებულთა საშუალო სასურველი შვილების რიცხვმა

შეადგინა 3,2, ხოლო შვილების საშუალო ფაქტობრივი რაოდენობა, რომლებიც ჰყავდათ გამოკითხულთა მშობლებს, შეადგენდა 4,8 (ლორთქიფანიძე, 1998. 178).

## დასკვნა

დემოგრაფიული პროცესების სტატისტიკური შესწავლა და სათანადო მაჩვენებლების გაანგარიშება პასუხს გვაძლევს კითხვაზე - რამდენი?, მაგრამ ზუსტად ვერ პასუხობს კითხვაზე, თუ როგორ მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ფაქტორები ადამიანების რეპროდუქციულ განწყობაზე. აღნიშნული საკითხი შეისწავლება შერჩევითი დემო-სოციოლოგიურ-სტატისტიკური კვლევებით. სტუდენტების მიერ დასახელებული ბავშვების როგორც სასურველი (3), ასევე მოსალოდნელი რიცხვი (2,8) სრულიად საკმარისია მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოებისათვის. მისი რეალიზება საშუალოდ 2,15-ის ფარგლებშიც კი აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების რეჟიმს, თუმცა, ბოლო 25 წლის განმავლობაში საქართველოში ეს არ მომხდარა.

დღეისათვის საქართველოს მოსახლეობა ხასიათდება მარტივი აღწარმოების რეჟიმით. როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, შვილიანობა მცირდება თაობიდან თაობაში. ასევე დადგინდა რეპროდუქციულ განწყობასა და შობადობის დონეზე მოქმედი როგორც შემაფერხებელი, ასევე მასტიმულირებელი ფაქტორები. გამოკითხულმა სტუდენტებმა

შვილიანობის ყველაზე უფრო ხელშემშლელ ფაქტორებად დაასახელეს: შემოსავალი, ჯანმრთელობა და ბინა. იმავდროულად, სამი შვილის მასტიმულირებელი ფაქტორებიდან

აღნიშნეს: კარიერა, შემოსავალი, მშობლების დახმარება, ბინა და ჯანმრთელობა.

## ლიტერატურა:

- გოქაძე ზ. (1993). რეპროდუქციული ორიენტაციების ფორმირების თავისებურებანი (თბილისის მაგალითზე). საკანდიდატო დისერტაცია.
- გუგუშვილი პ. (1973). საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- თოთაძე ა. (2018). საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა. გამომცემლობა „პრინტავენიუ“, თბილისი.
- თოთაძე ა. (2014). რას ფიქრობენ ახალგაზრდები. გამომცემლობა „პრინტავენიუ“.
- ლორთქიფანიძე ვ. (1998). ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- მენაბდიშვილი ნ. (2004). სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ორიენტაციები (თბილისის მაგალითზე). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი.
- სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული ქცევა. (2005). კვლევის დანართი 2, 3. ხელნაწერის უფლებით.

- უზნაძე დ. (2006). ზოგადი ფსიქოლოგია. გამომცემლობა თსუ, თბილისი.
- შელია მ. (2015). სტუდენტთა დამოკიდებულება კონფლიქტზე ოჯახში. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული.
- წიკლაური შ. (2015). განათლების მიღწეული დონის გავლენა ქორწინებით ქცევაზე. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული.
- წულაძე გ. (2005). დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. მე-2 გამოცემა. გამომცემლობა „პოლიგრაფი“.
- ხმადაძე მ. (2009). დემოგრაფია. გამომცემლობა „მერიდიანი“.
- [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

## References:

- Gokadze Z. (1993). reproduksiuli orientatsiebis pormirebis taviseburebani (tbilisi magalitze). [Peculiarities of Formation of Reproductive Orientations (The case of Tbilisi).] Candidate Dissertation. (in Georgian)
- Gugushvili P. (1973). sakartvelos ssr mosakhleobis aghsarmoebis sakitkhebi. [Population Reproduction Issues of Georgian SSR.] Tbilisi, Publishing House “Mecniereba”. (in Georgian)
- Totadze A. (2018). sakartvelos demograpiuli ganvitarebis programa. [Georgia’s Demographic Development Program.] Tbilisi, Publishing House “Printaveniu”. (in Georgian)
- Totadze A. (2014). ras pikroben akhalgazrdebi. [What Do Young People Think?] Tbilisi, Publishing House “Printaveniu”. (in Georgian)
- Lortkipanidze V. (1998). istoriuli meskheti. demograpiuli ganvitarebis problemebi. [Historical Meskheti. Problems of Demographic Development.] Tbilisi, Publishing House “Mecniereba”. (in Georgian)
- Menabdishvili N. (2004). studenti akhalgazrdobis demograpiuli orientatsiebi (tbilisi magalitze). [Demographic Orientations of Students and Youth (The case of Tbilisi).] Synopsis of the thesis. Candidate Dissertation. Candidate’s dissertation Autoreferencing. (in Georgian)
- Studenti akhalgazrdobis demograpiuli ktseva. (2005). [Demographic Behavior of Students and Youth. (2005).] Annex 2, 3. With the right of the manuscript. (in Georgian)
- Uznadze D. (2006). zogadi psikologia. [General Psychology.] Iv.javakhishvili Tbilisi State University Publishing House. (in Georgian)
- Shelia M. (2015). studentta damokidebuleba konfliktze ojaxshi. [Students Attitudes toward Conflict in the Family.] Problems of Demography and Sociology, Proceedings. (in Georgian).
- Tsiklauri Sh. (2015). ganatlebis mightseuli donis gavlena kortsinebit ktsevaze. [Influence of Educational Attainment on Marital Behavior.] Problems of Demography and Sociology, Proceedings. (in Georgian)
- Tsuladze C. (2005). demograpiis mokle entsiklopediuri leksikoni. [Short Encyclopedia Dictionary of Demography.] 2nd edition. Publishing house “Polygraph.” (in Georgian)
- Khmaladze M. (2009). Demografia. [Demography.] Publishing House “Meridiani” (in Georgian)
- [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

# Reproductive Disposition of Georgian Students and Youth

**Merab Khmaladze**

*Associate Professor*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

*merab.khmaladze@tsu.ge*

**Simon Gelashvili**

*Professor*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

*simon.gelashvili@tsu.ge*

**Zamira Shonia**

*Assistant Professor*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

*zamira.shonia@tsu.ge*

After the collapse of the Soviet Union, in Georgia, as in the other former Soviet republics, a general crisis erupted that covered all aspects of life, including demographic relations. The birth rate has fallen sharply, meeting only the needs of short-lived reproduction. In 2018, about two times fewer babies were born than in 1990. Under such a regime of population reproduction, the generation of parents would have been replaced by a smaller number of children. There were years when the natural growth of the Georgian population was zero. Today, the demographic situation is slightly improved, but it takes many years to achieve the desired situation. The generation of parents is replaced by the generation of children in equal numbers. But such a regime of population reproduction is unacceptable for Georgia, whose population declined sharply in the post-Soviet period, from 1992 to 2018 (from 5.5 million to 3.7 million, or 32.7%). This is an alarming situation and such a decline in population has not occurred in any post-Soviet country.

Throughout Georgia, student demographic sentiment surveys were first conducted at the Tbilisi State University, Department of Economic and Social Statistics in 2019, within the framework of the targeted research project of the Faculty of Economics and Business - "Student Demographic Mood of Georgia". The obtained data were processed and the corresponding indices were calculated using SPSS software.

The reproductive mood of students and youth, that is, the attitude towards childbearing and its study, is an important condition for predicting Georgia's demographic future. Our study gave some encouraging results, namely: students named 3 children as the desired number of children in the family and 2.8 expected. Both of these points fully support the expanded reproduction mode of the population, of course, if realized in the future.

**Keywords:** Demographic disposition; Reproductive disposition; Birth rate; Birth stimulating factors; Birth preventing factors.

**JEL Codes:** J10, J11, J12, J13

**მიკროეკონომიკა ◊ მაკროეკონომიკა ◊ ეკონომეტრიკა**  
**MICROECONOMICS ◊ MACROECONOMICS ◊ ECONOMETRICS**

---

**პირველადი ჯანდაცვის მეკარიბჭეობა და მიმართვიანობა:  
პაციენტების თვალსაზრისი ოჯახის ექიმის როლზე**

**თენგიზ ვერულავა**

ასოციირებული პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

tengiz.verulava@iliauni.edu.ge

**რევაზ ჯორბენაძე**

მედიცინის დოქტორი

გ. ჩაფიძის გადაუღებელი

კახიორაძის ცენტრი

revaz.jorbenadze@ecc.ge

ნაშრომში განხილულია ოჯახის ექიმის, როგორც ჯანდაცვის სისტემის მეკარიბჭის როლთან მიმართებით პაციენტების მახასიათებლები, პედაგოგიკური და ქცევა. ჯვარედინ-სექციური ხარისხობითი კვლევის ფაზებში ჩატარდა ინტერვიუების გამოკითხვა, ხოლო აჩვენა, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ექიმ-სპეციალისტთან მიმართების გზების შესახებ. პაციენტთა გაჩვენებულ ნაწილს უჩვენებია მიმართოს ოჯახის ექიმს, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მისთვის საჭირო ყველა სამედიცინო მომსახურებას და იქნება მისი ინტეგრაციის დამცველი ერთდროულად ავტორი. აღნიშნული უფრო მეტად აქვთ პირობა, რომლებიც ახიან კვირ სამედიცინო დაზღვევის ბენეფიციარები. კვირ სამედიცინო დაზღვევით კომპანიები უფრო მეტად ახიან დაინტეგრირებული ხარჯების შეკავების მექანიზმების დანერგვით, ვიდრე საყოველთაო ჯანდაცვითი დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარები. ოჯახის ექიმის ინსტიტუტის გასაუმჯობესებლად და ნდობის ასამაღლებლად, მიზანშეწონილია ოჯახის ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება, უწყვეტი სამედიცინო განათლების განვითარება, ხადგან მალაქვალიფიციური ექიმებს უფრო მეტი სანდოება ექნებათ, ხაც გაზრდის მათთან მიმართვიანობას. მიზანშეწონილია მეკარიბჭეობის მოქნილი, ნებაყოფლობითი მოდელის განვითარება, ხადგან იგი უკეთ შეესაბამება პაციენტების და ექიმების საჭიროებებს.

**საკვანძო სიტყვები:** პირველადი ჯანდაცვა, ოჯახის ექიმი.



## შესავალი

ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციულ მოწყობაში პირველად ჯანდაცვის განსაკუთრებული როლი ეკისრება. პირველადი ჯანდაცვის გამართულ სისტემაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხი, სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვაზე გამოყოფილი მწირი სახსრების ეფექტური ხარჯვა. ოჯახის ექიმი, რომელიც ჯანდაცვის სისტემის „მეკარიბჭეა“, ახდენს დაავადების პირველად შეფასებას, მართვას, პაციენტის კოორდინაციას და საჭიროების შემთხვევაში, მის მიმართვას ექიმ-სპეციალისტებთან (Aoun et al. 2018). ერთის მხრივ, ოჯახის ექიმი არის პაციენტის „მრჩეველი“, მეორე მხრივ - მას შეუძლია საჭირო და შესაფერისი სამედიცინო მომსახურების შესახებ გონივრული გადაწყვეტილებების მიღება, რაც ხელს უწყობს ჯანდაცვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას (Gerada. 2011).

ჯანდაცვის სისტემაში, სადაც ოჯახის ექიმი კოორდინაციას უწევს სამედიცინო მომსახურებას და აკონტროლებს საჭიროების შემთხვევაში პაციენტის მიმართვას ექიმ-სპეციალისტთან, მცირდება ჯანდაცვის ხარჯები (Marcinowicz, Górski 2016). კვლევები ადასტურებს, რომ ოჯახის ექიმთან უწყვეტი სამედიცინო მეთვალყურეობა ამცირებს ძვირადღირებული სერვისების მოხმარებას, კერძოდ, 35%-ით მცირდება ჰოსპიტალური მკურნალობის და 50%-ით - გადაუდებელი დახმარების საჭიროება (Gross, 2000), შედეგად, მცირდება ჯანდაცვაზე ხარჯები.

ჯანდაცვის ხარჯების შემცირება გავლენას არ ახდენს ჯანმრთელობის შედეგებზე. პირველადი ჯანდაცვის ეფექტური სისტემა ასოცირდება სამედიცინო მომსახურების უკეთეს ხარისხთან, მოსახლეობის უკეთეს ჯანმრთელობის მაჩვენებლებთან (Starfield, 1994). პირველად ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით მცირდება ნეონატალური და პოსტნეონატალური სიკვდილიანობა, ავადობა, მცირე წონით დაბადებული ბავშვების რაოდენობა (Eisenberg. 1985).

საქართველოში 2000 წლიდან მიმდინარეობს პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება (Chikovani, Sulaberidze. 2017; Verulava, Dangadze. 2018). დონორი ორგანიზაციების დახმარებით სოფლებში დაიწყო ახალი ამბულატორიების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროცესი, პარალელურად მიმდინარეობდა ოჯახის ექიმებისა და ექთნების გადამზადება (Gamkrelidze, 2002). შედეგად გაუმჯობესდა პირველადი ჯანდაცვის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა (Chanturidze, 2009). რეაბილიტირებულ და აღჭურვილ იქნა პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციები. სოფლის ამბულატორიები ჩამოყალიბდა მენარმე-ფიზიკურ პირებად, ხოლო ექიმებს და ექთნებს გაუფორმდათ ხელშეკრულებები ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად (Richardson, Berdzuli 2017).

რაიონული ცენტრებისა და დიდი ქალაქების (თბილისი, რუსთავი, ფოთი) პირველადი ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციების მიმართ შემუშავდა განსხვავებული გეგმა. რაიონების დონეზე მიმდინარეობდა პირველადი ჯანდაცვის, ამბულატორიული და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისების და ინფასტრუქტურის ინტეგრაცია ახლადშექმნილ სამედიცინო ცენტრებში. დიდ ქალაქებში კი დაიწყო პოლიკლინიკური სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციის პროცესი. ამგვარად, საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში პირველადი ჯანდაცვის სისტემა საოჯახო მედიცინის ცენტრების მეშვეობით ფუნქციონირებს, ხოლო სოფლად პირველადი ჯანდაცვის ფუნქციას სოფლის ექიმის ინსტიტუტი ახორციელებს. სამიზნე მოსახლეობასთან პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლის თანაფარდობის გათვალისწინებით (1 ექიმი 2000 მოსახლეზე-სულზე), დადგინდა, რომ საქართველოში საჭიროა 2000-2200 ოჯახის ექიმი და 2300-2500 ექთანნი.

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებულ რეფორმას არ გააჩნდა მნიშვნელოვანი ეფექტი ამბულატორიული მომსახურებაზე. პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების დაბალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2011 წლის მონაცემებით, ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე წლის განმავლობაში 2.3-ს შეადგენს, მაშინ როცა ევროპის ქვეყნებისათვის ის 7.5-მდე აღწევს (MLHSA, 2013). საქართველო ამ მაჩვენებლით ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება ჯანმოს (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია) ევროპის რეგიონის ქვეყნებთან შედარებით. იმ პირთა შორის, რომლებმაც ჯანმრთელობის პრობლემების გამო 2010 წელს მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, ჯანდაცვის სისტემასთან პირველი კონტაქტის ადგილი სახით მხოლოდ 50.9 %-მა აირჩია პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები.

2013 წლიდან საქართველოში ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მთავარი მიზანია მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვაზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. პროგრამის ამოქმედების შედეგად 2014 წლისათვის ამბულატორიებში პაციენტთა მიმართვიანობის საერთო მაჩვენებელი 25%-ით გაიზარდა, რაც მეტყველებს ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის ამაღლებაზე (Verulava, 2017). თუმცა, პროგრამის ბენეფიციართა მხოლოდ 22%-მა მიმართა ამბულატორიას გეგმიური სამედიცინო დახმარების მისაღებად.

საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით, რესპონდენტთა 40.1% გამოხატავს ნაწილობრივ (38.6.8%), ან სრულ (1.5%) უკმაყოფილებას ოჯახის ექიმის მიმართ (Pollack, 2015). რესპონდენტთა ნახევარზე დიდი

ნაწილი (75%) აღნიშნავს, რომ ექიმი არ იბარებს პერიოდულ სამედიცინო გასინჯვებზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პრევენციული მედიცინის კომპონენტი ძალიან სუსტია პირველადი ჯანდაცვის სერვისებში, რაც დაავადებათა გვიანი გამოვლენის უშუალო მიზეზით, მნიშვნელოვნად ზრდის სამედიცინო მომსახურების ხარჯებს (Verulava, 2018).

საქართველოში ოჯახის ექიმის, როგორც, „მეკარიბჭის“ იმპლემენტაციას, უფრო მეტად კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ, რადგან მათ ინტერესებშია დაავადებათა ეფექტური მართვა და შედეგად ხარჯების შემცირება. კვლევები ადასტურებს, რომ პაციენტები უპირატესობას ანიჭებენ ექიმ-სპეციალისტებთან პირდაპირ, ოჯახის ექიმის გვერდის ავლით მიმართვას ან უარეს შემთხვევაში, ექიმის დანიშნულების გარეშე ყიდულობენ მედიკამენტებს და ეწევიან თვითმკურნალობას (Verulava, 2017a; Verulava, Maglakelidze 2017; Verulava, 2017b). შესაბამისად, პაციენტებს ნაკლები მოტივაცია აქვთ პრევენციისათვის მიმართონ ოჯახის ექიმს. ამის მიზეზია ოჯახის ექიმისადმი დაბალი ნდობა და ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის კულტურის არარსებობა, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ჯანდაცვის სისტემის დანახარჯებზე.

კვლევები ადასტურებს, რომ მაღალია ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტების ხარჯების წილი და ის დაახლოებით 40%-ს აღწევს, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში - 10-15%-ია. აღნიშნული გამოწვეულია ოჯახის ექიმისადმი პაციენტის დაბალი ნდობით. პირველადი ჯანდაცვის სისტემა ვერ ასრულებს ე.წ. სისტემის „მეკარიბჭის“ როლს. შესაბამისად, კვლევის მიზანია ოჯახის ექიმის როგორც მეკარიბჭის როლთან მიმართებით პაციენტების მახასიათებლების, პრეფერენციების და ქცევის შესწავლა. პაციენტების პრეფერენციების ცოდნა ხელს შეუწყობს ჯანდაცვის ორგანიზაციებს განავითარონ მეკარიბჭის ისეთი მოდელი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პაციენტების მოთხოვნები. მოსახლეობის იმ ჯგუფების გამოვლენით, რომლებიც ამ მოდელს ეწინააღმდეგებიან, შესაძლებელი იქნება მათთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.

## **კვლევის მეთოდოლოგია**

ჩატარდა ანალიტიკური ჯვარედინ-სექციური რაოდენობრივი კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში (ბორჯომი, ქარელი, ხაშური, კასპი, გორი, თბილისი) მცხოვრებმა 18 წელზე უფროსი ასაკის 500 რესპონდენტმა, რომლებიც გამოკითხვის დღეს იმყოფებოდნენ პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციაში. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმს წარმოადგენდა რესპონდენტთა კვლევაში ნე-

ბაკოფლობით მონაწილეობის სურვილი. 500 რესპონდენტიდან კითხვარი შეავსო 456-მა (91.2%), ხოლო 44-მა (8.8%) უარი განაცხადა. რესპოდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები მოცემულია ცხრილში.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც მოდიფიცირებულ იქნა შესაბამისი კვლევებიდან. მოდიფიცირებული კითხვარის ვალიდურობა შეფასებულ იქნა 5 რესპონდენტის გამოკითხვის მეშვეობით. კვლევა ჩატარდა 2018 წლის თებერვალ-ივნისში. ბენეფიციართა ინტერვიუს ხანგრძლივობა იყო დაახლოებით 30-45 წთ. გამოკითხვის შედეგების გადმოსაცემად გამოყენებულ იქნა აღწერითი (დესკრიფციული) სტატისტიკის მეთოდი.

კვლევის მთავარ შეზღუდვას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დროის სიმცირის გამო, კვლევა განხორციელდა ქვეყნის მხოლოდ რამდენიმე ქალაქში/რაიონში.

### **კვლევის ძირითადი შედეგები**

გამოკითხული 456 რესპონდენტიდან 240 (52,6%) ქალი იყო და 216 (47,4%) მამაკაცი. რესპონდენტთა 59.8% (n=273) იყო თბილისელი, ხოლო დანარჩენი - რეგიონებში მცხოვრებნი (40.18%, n=183). გამოკითხულთა ასაკი მერყეობდა 18 წლიდან 71 წლამდე, რომელთა საშუალო ასაკი შეადგენდა 56 წელს (SD=5.1). რესპონდენტთა უმეტესობა 55-დან 65 წლის ასაკისაა (36,6%, n=167). რესპონდენტთა უმრავლესობას აქვს უმაღლესი განათლება (50.4%, n=230), რესპონდენტთა თვიური შემოსავალი საშუალოდ შეადგენს 600 ლარზე ნაკლებს (SD=100), უმეტესობის საშუალოთვიური შემოსავალი მერყეობს 500-იდან 1000 ლარამდე (30%, n=137), რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი უმუშევარია ბოლო 6 თვის მანძილზე (59%, n=269) (ცხრილი 1).

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარია რესპონდენტთა 69.1% (n=315), კერძო სამედიცინო დაზღვევის ბენეფიციარია - 30.9% (n=141). რესპოდენტთა 37.3%-ს (n=170) აქვს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები, 53.7%-ს (n=245) ჰყავს მუდმივი ოჯახის ექიმი, 56.6% (n=258) არ არის კმაყოფილი ოჯახის ექიმის პროფესიონალიზმით, 55.5% (n=253) არ არის კმაყოფილი ოჯახის ექიმის დამოკიდებულებით (ცხრილი 1).

პაციენტის დამოკიდებულება ოჯახის ექიმის, როგორც მეკარიბჭის როლის მიმართ

ცხრილი 1.

	სულ n (%)	პაციენტი უპირატესობას ანიჭებს თვით-მიმართვას n (%)	ექიმ-სპეციალისტს მიმართავს ოჯახის ექიმის რჩევით n (%)	იყენებს ორივეს: ოჯახის ექიმსაც და თვით-მიმართვას n (%)	უჭირს პასუხის გაცემა n (%)
<b>სულ</b>	456 (100)	253 (55)	89 (19.5)	103 (23)	11 (2.5)
<b>საცხოვრებელი ადგილი:</b>					
თბილისი	124 (27.2)	58 (22.9)	28 (31.5)	34 (33)	4 (36.4)
ქარელი	65 (14.3)	39 (15.4)	11 (12.4)	13 (12.6)	2 (18.2)
ბორჯომი	61 (13.4)	37 (14.6)	12 (13.5)	10 (9.7)	2 (18.2)
ხაშური	69 (15.1)	41 (16.2)	13 (14.6)	14 (13.6)	1 (9.1)
გორი	66 (14.5)	41 (16.2)	12 (13.5)	12 (11.7)	1 (9.1)
კასპი	71 (15.6)	40 (15.8)	13 (14.6)	17 (16.5)	1 (9.1)
<b>სქესი</b>					
ქალი	240 (52.6)	138 (57.5)	40 (16.7)	54 (22.5)	8 (3.3)
მამაკაცი	216 (47.4)	115 (53.2)	49 (22.7)	49 (22.7)	3 (1.4)
<b>ასაკი</b>					
18-34	42 (9.2)	26 (61.9)	4 (9.5)	12 (28.6)	0 (0)
35-54	156 (34.2)	67 (42.9)	44 (28.2)	41 (26.3)	4 (2.6)
55-65	167 (36.6)	86 (51.5)	39 (23.4)	39 (23.4)	3 (1.8)
65+	91 (20)	74 (81.3)	2 (2.2)	11 (12.1)	4 (4.4)
<b>განათლება</b>					
საშუალო	226 (49.6)	152 (67.3)	22 (9.7)	53 (23.5)	5 (2.2)
უმაღლესი	230 (50.4)	101 (43.9)	67 (29.1)	50 (21.7)	6 (2.6)
<b>თვიური შემოსავალი</b>					
„ 500 ლარზე	134 (29.4)	91 (67.9)	13 (9.7)	25 (18.7)	5 (3.7)
500-999	137 (30)	73 (53.3)	27 (19.7)	33 (24.1)	4 (2.9)
1000-1499	102 (22.4)	53 (52)	24 (23.5)	23 (22.5)	2 (2.0)
1500-1999	52 (11.4)	30 (57.7)	6 (11.5)	16 (30.8)	0
„2000 ლარზე	31 (6.8)	6 (19.4)	19 (61.3)	6 (19.4)	0
<b>დასაქმებულია ბოლო 6 თვის მანძილზე</b>					
დიახ	187 (41)	65 (34.8)	84 (45)	38 (20.3)	0 (0)
არა	269 (59)	188 (69.9)	5 (1.9)	65 (24)	11 (4.1)
<b>საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარი; კერძო დაზღვევის ბენეფიციარი</b>					
	315 (69.1)	217 (68.9)	15 (4.8)	72 (22.9)	11 (3.5)
	141 (30.9)	36 (25.3)	74 (52.5)	31 (22)	0 (0)
<b>აქვს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები:</b>					
დიახ	170 (37.3)	91 (53.5)	52 (30.6)	26 (15.3)	1 (0.6)
არა	286 (62.7)	162 (56.6)	37 (12.9)	77 (26.9)	10 (3.5)
<b>ჰყავს მუდმივი ოჯახის ექიმი</b>					
დიახ	245 (53.7)	70 (28.6)	88 (35.9)	78 (31.8)	8 (3.2)
არა	211 (46.3)	183 (86.7)	1 (0.5)	25 (11.8)	3 (1.4)
<b>კმაყოფილია ოჯახის ექიმის პროფესიონალიზმით</b>					
დიახ	198 (43.4)	25 (12.6)	74 (37.4)	97 (49)	2 (1)
არა	258 (56.6)	228 (88.4)	15 (5.8)	6 (2.3)	9 (3.5)
<b>კმაყოფილია ოჯახის ექიმის დამოკიდებულებით</b>					
დიახ	203 (44.5)	22 (10.8)	78 (38.4)	98 (48.3)	3 (1.5)
არა	253 (55.5)	231 (91.3)	11 (4.3)	5 (2)	8 (3.2)

იმის გასარკვევად, თუ რას ფიქრობენ პაციენტები ოჯახის ექიმის, როგორც მეკარიბჭის როლზე, მათ დავუსვით შემდეგი კითხვები: “გსურთ, რომ თქვენი ოჯახის ექიმი გახდეს თქვენი პირადი ექიმი, კოორდინაცია გაუწიოს ყველა თქვენს მომსახურებას და მხოლოდ იგი იყოს პასუხისმგებელი ექიმ-სპეციალისტთან მიმართვის?” შემდეგ, რესპონდენტებს ვთხოვეთ არჩევანის გაკეთება ერთ-ერთი შესაძლო პასუხიდან: (1) “უპირატესობას ვანიჭებს ექიმ-სპეციალისტთან თვითმიმართვას”; (2) “ოჯახის ექიმი კოორდინაციას უწევს ყველა ჩემს მომსახურებას, ექიმ-სპეციალისტს მივმართავ მხოლოდ ოჯახის ექიმის რჩევით”; (3) “ვიყენებ ორივეს: ოჯახის ექიმს, რომელიც კოორდინაციას უწევს ჩემს მომსახურებას, ასევე თვითმიმართვას ექიმ-სპეციალისტთან”. ცხრილი აჩვენებს პასუხების განაწილებას სხვადასხვა ცვლადის მიხედვით.

ცხრილი გვიჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი (55%, n=253) უპირატესობას ანიჭებს ექიმ-სპეციალისტთან თვითმიმართვას. რესპონდენტთა მხოლოდ 19.5% (n=89) მიმართავს ექიმ-სპეციალისტს ოჯახის ექიმის რჩევით, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ყველა მის მომსახურებას, ხოლო 23% (n=103) იყენებს ორივეს: ოჯახის ექიმსაც და თვითმიმართვას.

თბილისში მცხოვრები რესპონდენტები ექიმ-სპეციალისტთან მიმართვისას უმეტესად იყენებენ როგორც ოჯახის ექიმს, ასევე თვითმიმართვას (33%, n=34), ხოლო რაიონებსა და სოფლებში მცხოვრები რესპონდენტები ექიმ-სპეციალისტთან მიმართვისას უპირატესობას ანიჭებენ თვითმიმართვას.

სქესთან მიმართებით, როგორც ქალები (57.5%, n=138), ასევე მამაკაცები (53.2%, n=115) უპირატესობას ანიჭებენ ექიმ-სპეციალისტთან თვითმიმართვას. ასაკთან მიმართებით, თვითმიმართვას უპირატესობას ანიჭებენ 65 წელზე მეტი ასაკის პაციენტები (81.3%, n=74), ოჯახის ექიმის რჩევით ექიმ-სპეციალისტს უმეტესად მიმართავენ 35-54 წლის ასაკის რესპონდენტები (28.2%, n=44). განათლების დონის მიხედვით, საშუალო განათლების პაციენტები უპირატესობას ანიჭებენ თვითმიმართვას (67.3%, n=152). მაღალშემოსავლიანი რესპონდენტები ექიმ-სპეციალისტთან მიმართვისას უპირატესობას ანიჭებენ ოჯახის ექიმის რჩევას (61.3%, n=19), დაბალშემოსავლიანი რესპონდენტები - თვითმიმართვას (67.9%, n=91). უმუშევრები უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ თვითმიმართვას (69.9%, n=188), დასაქმებულები - ოჯახის ექიმს (45%, n=84). საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარები უპირატესობას ანიჭებენ თვითმიმართვას (68.9%, n=217), ხოლო კერძო სამედიცინო დაზღვევის ბენეფიციარები - ოჯახის ექიმის რჩევით ექიმ-სპეციალისტთან მიმართვას. თვითმიმართვას უპირატესობას ანიჭებენ რესპონდენტები, რომელთაც არ

აქვთ ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები (56.6%, n=162); ოჯახის ექიმის რჩევით ექიმ-სპეციალისტს უფრო მეტად მიმართავენ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტები (30.6%, n=52). თვითმიმართვას უპირატესობას ანიჭებენ რესპოდენტები, რომელთაც არ ჰყავთ მუდმივი ოჯახის ექიმი (86.7%, n=183), რესპოდენტებს, რომელთაც ჰყავთ მუდმივი ოჯახის ექიმი, ექიმ-სპეციალისტთან უმთავრესად მიმართავენ ოჯახის ექიმის მეშვეობით (35.9%, n=88). თვითმიმართვას უპირატესობას ანიჭებენ რესპოდენტები, რომლებიც არ არიან კმაყოფილი ოჯახის ექიმის პროფესიონალიზმით (88.4%, n=228), რესპოდენტები, რომელნიც კმაყოფილი არიან ოჯახის ექიმის პროფესიონალიზმით ექიმ-სპეციალისტთან მიმართვისას უმეტესად იყენებენ როგორც ოჯახის ექიმს, ასევე თვითმიმართვას (49%, n=97). თვითმიმართვას უპირატესობას ანიჭებენ რესპოდენტები, რომელნიც არ არიან კმაყოფილი ოჯახის ექიმის დამოკიდებულებით (91.3%, n=231), რესპოდენტები, რომელნიც კმაყოფილი არიან ოჯახის ექიმის პროფესიონალიზმით, ექიმ-სპეციალისტთან მიმართვისას უმეტესად იყენებენ როგორც ოჯახის ექიმს, ასევე თვითმიმართვას (48.3%, n=98).

## **ზოგიერთი მოსაზრება კვლევის შედეგებზე**

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ექიმ-სპეციალისტთან მიმართვის გზების შესახებ. პაციენტთა გარკვეულ ნაწილს ურჩევნია მიმართოს ოჯახის ექიმს, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მისთვის საჭირო ყველა სამედიცინო მომსახურებას და იქნება მისი ინტერესების დამცველი ერთადერთი აგენტი. ამ ჯგუფის მახასიათებლებია: მაღალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მაღალი შემოსავლები, საშუალო ასაკის და ახალგაზრდა პირები, დედაქალაქში მცხოვრებნი, დასაქმებულები, მამაკაცები, ჯანმრთელობის მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემების არმქონე პირები. აღნიშნული მახასიათებლები უფრო მეტად აქვს პირებს, რომლებიც არიან კერძო სამედიცინო დაზღვევის ბენეფიციარები, რადგან კერძო სამედიცინო დაზღვევის მოსარგებლები უმთავრესად არიან დასაქმებული, საშუალო ასაკის და ახალგაზრდა პირები, რომელთაც აქვთ მაღალი შემოსავლები. კერძო სამედიცინო დაზღვევის ბენეფიციარები უპირატესობას ანიჭებენ ექიმ-სპეციალისტთან მიმართვას ოჯახის ექიმის მეშვეობით. იგი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი ხარჯების შეკავების მექანიზმების დანერგვით, ვიდრე საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარები. ასეთ მექანიზმს კი წარმოადგენს ოჯახის ექიმის, როგორც ჯანდაცვის სისტემის „მეკარიბჭის“ როლის გაზრდა.

მეკარიბჭის მოდელს უფრო მეტად აქვს პაციენტის საჭიროებებზე რეაგირების, სამედიცინო მომსახურების კოორდინაციის გაუმჯობესების და ხარჯების შეკავების უპირატესობა (Verulava , 2018). ეს მიდგომა უფრო შეესაბამება პირველადი ჯანდაცვის ძირითად ღირებულებებს, ხაზს უსვამს ოჯახის ექიმის უმთავრეს როლს მკურნალობის პროცესში, ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობებში ნდობის და ინდივიდუალური პაციენტის საჭიროებებზე რეაგირების მნიშვნელობას (McWhinney, 1998).

მიზანშეწონილია მეკარიბჭის მოდელის განვითარება, კერძო სამედიცინო დაზღვევის გამოცდილების გაზიარება და მისი გამოყენება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშიც. პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციებმა აქტიური ახსნა-განმარტებითი ღონისძიებები უნდა ჩაატარონ მეკარიბჭის მოდელის სარგებლების თაობაზე. ამავე დროს, საჭიროა ისეთი მექანიზმების დანერგვა, რაც ბენეფიციარებს სტიმულს მისცემს მიმართონ სპეციალისტებს მათი ოჯახის ექიმის მეშვეობით. ასეთ სტიმულად შეიძლება განვიხილოთ პრიორიტეტის მინიჭება ექიმ-სპეციალისტთან მიმართვაზე ოჯახის ექიმის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი ექიმ-სპეციალისტს მიმართავს ოჯახის ექიმის გარეშე, დამატებით გადახდის დაწესება.

ბას. მარკეტინგი 2.0 მომხმარებელზე ორიენტირებულია, ანუ ეს ეტაპი, როგორც ბევრ ლიტერატურაშია მოხსენებული ტერმინით - „მომხმარებელი მეფეა“. შემდგომი ეტაპია მარკეტინგი 3.0, რომელიც გარდამტეხი აღმოჩნდა ელექტრონული მარკეტინგისათვის. სოციალური მედიის ინტეგრირებამ მარკეტინგში განაპირობა მომხმარებლის ფასეულობაზე ორიენტირებული მარკეტინგის ფორმირება . 2017 წელს გამოვიდა ფ. კოტლერისა და მისი გუნდის მიერ შექმნილი წიგნი „მარკეტინგი - 4.0- ტრადიციული მარკეტინგიდან ციფრულ მარკეტინგზე“, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა (Kotler 2017). წიგნში განხილულია თანამედროვე მარკეტინგის განვითარების დინამიკა, არსებული გამოწვევები და პერსპექტივები. 4.0 მარკეტინგი ჰუმანურ ფასეულობებსა და მომხმარებელზეა ორიენტირებული. დღეს, როდესაც მომხმარებელს ალტერნატივების არჩევის დიდი შესაძლებლობა გააჩნია, ავტორების აზრით, კომპანიამ მომხმარებლებს ისეთი არაორდინარული, განსაკუთრებული პროდუქტი უნდა შესთავაზოს, რომ მომხმარებლის მყისიერი გაოცება და აღტაცება გამოიწვიოს, ანუ ე.წ. WOW-ის სინდრომი. მარკეტინგი 4.0 მარკეტინგი 3.0-ის კონცფციის გაგრძელებაა ციფრული ტექნოლოგიის ბუმის პირობებში. მომხმარებლის ცხოვრების წესი რადიკალურად შეიცვალა, ელექტრონული ეკონომიკა და სმარტფონი მისი განუყოფელი ნაწილი გახდა. მარკეტინგი 4.0-მა ძლიერი ზემოქმედება მოახდინა მომხმარებლის დამოკიდებულებასა და ქცევაზე. აქცენტი კეთდება ჰორიზანტალურ, უფრო ჰუმანურ თანამშრომლობაზე, რაც პოზიტიურად იმოქმედებს ინდივიდებსა და მთლიანად საზოგადოებაზე. მომხმარებელი კომპანია მიზნობრივი აუდიტორიის პასიური შემადგენელი ნაწილი არ არის, იგი მათი უფლებამოსილი პარტნიორი და ბრენდის მხარდამჭერია (Mathew, Kramer 2018). 1996 წელს საერთაშორისო ჟურნალში „მარკეტინგი“ გამოქვეყნდა ჰოფმანისა და ნოვაკის ძალიან საინტერესო ნაშრომი - „მარკეტინგი ჰიპერმედიის კომპიუტერულ გარემოში: კონცეპტუალური საფუძვლები,..“ მასში მოცემულია შორსმჭვრეტელი მოსაზრება იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში ჰიპერმედიის როლი საგრძნობლად მოიმატებს მარკეტინგში და კომპიუტერის საშუალებით მოხდება რევოლუციური ცვლილებები გლობალურ სამყაროში (Hoffman and Novak 1996). 2018 წელს, ზემოთ აღნიშნულ ნაშრომზე დაყრდნობით დაიბეჭდა სტატია, სადაც სოციალური მედიის ქსელებში მომხმარებელთა ჩართულობის ზრდის ობიექტური ფაქტორები და მიზეზები იქნა დამოკიდებული (Thota 2018). სოციალური მედიის მზარდი გამოყენება და ამ არხის საშუალებით კომუნიკაციური ინფორმაციის მიწოდება პოპულარული ხდება ელექტრონული სიტყვიერი მარკეტინგის საშუალებით (eWOM). სიტყვიერი მარკეტინგი კმაყოფილი მომხმარებლის მიერ გამოთქმული მოსაზრებაა, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს პოტენციურ მომხმარებელზე. (Rosario 2018, Lee 2009, Erkan and Evan 2016). ეს ტენდენცია გაძლიერებულია დარგის ექსპერტების, სელებრიტებისა და გავლენის მქო-

ნე ადამიანების მიერ შეთავაზებული რეკომენდაციებით. მთლიანობაში, მრავალი კვლევა წარმოაჩენს სოციალური მედიის გავლენას მომხმარებელთა ურთიერთობებზე, ასევე მყიდველის ქცევაზე (Shah ,2018).


## გავლენის მარკეტინგის ახალი ხედვა

გავლენის მარკეტინგი ზემოქმედებს პოტენციურ მომხმარებელზე და მათ ბრენდის მყიდველებად გადააქცევს. როდესაც სოციალური მედია მარკეტინგისა და გავლენის მარკეტინგის განსხვავებულობაზე არის მსჯელობს, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სოციალური მედია მარკეტინგი ბრენდის ცნობადობის ზრდასა და განმტკიცებას უწყობს ხელს, ხოლო გავლენის მარკეტინგს ყურადღება გადატანილი აქვს მომხმარებლის მოზიდვისა და მათ მიერ ყიდვის გადაწყვეტილების მიღებაზე (Nanji 2017, Glucksman 2017, Krasniak 2016). გავლენის მარკეტინგი ბრენდის პოპულარიზაციას ახდენს Instagram, Facebook, YouTube and Twitter -ის ინტერნეტ პლატფორმების საშუალებით. ამერიკელი მეცნიერების ბრაუნისა და ფიორელას ავტორობით გამოცემული წიგნი - „გავლენის მარკეტინგი: როგორ უნდა შექმნა და შეაფასო ბრენდის გავლენა სოციალურ მედია მარკეტინგში,“ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (Brown, and Fiorella 2013). წიგნი განხილულია გავლენის მარკეტინგის თეორიული ასპექტები, როგორცაა: მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღების პროცესი, სოციალური გავლენის მოდელი და შეფასება, გავლენის მარკეტინგის ახალი ხედვა და სხვა საკითხი. წიგნი ხაზგასმულია გავლენის მარკეტინგის 4 M-ი, ანუ 4 - ეტაპიანი განვითარება: ფორმირება (make); მართვა (manage); მონიტორინგი (monitor); შეფასება (measure). მასში ნათლად არის წარმოდგენილი მონიტორინგისა და შეფასების ეტაპების მნიშვნელობა, რათა მომხმარებელმა მიიღოს გადაწყვეტილება ყიდვის შესახებ. გავლენის მარკეტინგის მიმდევართა რიცხვი დღითიდღე მატულობს, მისი დინამიკა გუგლის საძიებო სისტემაში უპრეცედენტოდ - 1500%-ით გაიზარდა ბოლო სამ წელიწადში. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ გავლენის მარკეტინგს გააჩნია ბრენდის ძლიერი ადვოკატირების უნარი, ის ზრდის ბრენდის ცნობადობას, აღწევს ფართო აუდიტორიაში, ზრდის მომხმარებელთა ჩართულობასა და ინტერაქციას. ახალი მედია და სოციალური ქსელები მრავალფეროვან და საინტერესო საინფორმაციო ველს ქმნიან. **ბრენდი-გავლენისმომხდენი-მომხმარებელი** ასეთი ინტერაქციით ხდება ზემოქმედება ყიდვის გადაწყვეტილების მიღების დროს. გავლენისმომხდენი, მიმზიდველი და კომპტეტენტური კონტენტების საშუალებით, მრავალი მომხმარებლის ყურადღებას იპყრობს. სოციალურ ქსელებში გავლენის მქონე პიროვნებას ბევრი მიმდევარი ჰყავს, მათი სანდოობა მაღალია. მომხმარებელთა ზუსტ სეგმენტზე გასვლა, მათზე მორგებული კონტენტის და

გზავნილის შექმნა, უფრო მობილიზებულს ხდის მომხმარებელს ყიდვის გადაწყვეტილების მიღების დროს. ტრადიციული მარკეტინგისაგან განსხვავებით, გავლენის მარკეტინგი ბრენდისადმი მომხმარებლის დამოკიდებულებას უფრო სწრაფად ცვლის, ვიდრე ტრადიციული რეკლამა. გავლენის მარკეტინგი ფინანსურად უფრო მეტად ძლიერდება ბოლო წლებში. თუ 2016 წელს დარგი შეფასებული იყო \$1, 7 მლრდ-ად, 2017 წლისათვის ის გახდა \$3 მლრდ დოლარი. 2018 წლისათვის გაიზარდა \$4.6, 2019 წლისათვის ის 5 მლრდ დოლარს მიაღწევს (Benchmark Report 2019). გავლენის მარკეტინგი ადვილად ახერხებს უზარმაზარი აუდიტორიის მოცვას, თუ მას საკუთარი ნიშა გააჩნია, ამასთან მნიშვნელოვანია, თუ რამდენად რელევანტურია ის ნიშა, სადაც გავლენიანი პირები და მიმდევრები ურთიერთობენ. გასათვალისწინებელია, თუ რამდენად შეესაბამება გავლენის სტილი და პიროვნება ბრენდის იმიჯს. ინსტაგრამის პოსტები, ისტორიები და ვიდეო ყველაზე უფრო პოპულარულია მომხმარებლებს შორის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ კონკრეტულ პლატფორმებზე განთავსებული კონტენტი რამდენ მოწონებას იმსახურებს (Long-Chuan 2014).

კონტენტის ფორმების ეფექტურობა გავლენის მარკეტინგში

დიაგრამა 1



წყარო: Influence Marketing 2019, Benchmark Industry Mediakix, <https://mediakix.com/blog/influencer-marketing-effectiveness/>


ასევე მნიშვნელოვანია მიმდევართა ჩართულობა სოციალურ მედიაში - გავლენიანი პირები, საქმიანობის შინაარსის მიხედვით, ძირითადში მიკრო და მაკრო დონეებზე მუშაობენ, თუმცა ზოგიერთი მარკეტოლოგი გამოყოფს ასევე მეგა და ნანო დონეებს. მეგაგავლენიანი - ყველაზე ძვირადღირებული პიროვნებაა, რომელსაც მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს. ისინი ექსპერტები არ არიან, არც პროფესიული გამოცდილება გააჩნიათ. სამაგიეროდ, გამორჩეულად ცნობილები არიან და გარკვეული დონით ახდენენ ბრენდის პოპულარიზაციას. მაკროგავლენიანი პირები გადიან ფართო დემოგრაფიულ სეგმენტზე უფრო მეტად, ვიდრე მეგაგავლენის პირები. (Tabellion and Esch 2019). ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ XXI საუკუნის მომხმარებელი შეცვლილია პიროვნულად, ემოციურად, ეკონომიკურად. იგი კარგად ერკვევა არსებულ ბიზნესგარემოში, უფრო მეტად გაცნობიერებულია პროდუქტის მახასიათებელსა და მის ხარისხში. მომხმარებელს ბევრად უფრო მეტ ინფორმაციაზე, ციფრებსა და დეტალებზე მიუწვდება ხელი და მისი მოთხოვნა უფრო მრავალფეროვანი ხდება. მომხმარებლისათვის უფრო მისაღებია პროფესიონალებისა და გამოცდილი ექსპერტების რჩევა, ვიდრე იმ სელებრიტების, რომლებიც საერთოდ ვერ ერკვევიან ბრენდის მახასიათებელში და კონკრეტული კომპანიის დაკვეთით მოქმედებენ. რაც უფრო კონსტრუქციულია ურთიერთობა გავლენის მომხდენ პირსა და მომხმარებელს შორის, მარკეტოლოგს უფრო ეფექტიანად შეუძლია მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი მესიჯის მიწოდება. შეტყობინების კონტენტი (შინაარსი) ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს იმ ექსპოზიციითა და ბმულებით, რომელსაც იღებს მომხმარებელი ბრენდის აღსაქმელად. კარგად შექმნილი კონტენტი დიდი ხელოვნებაა, რომელიც მომხმარებელს ყიდვის გადანყვეტილებისკენ უბიძგებს (Wong 2014). ბრენდის სტიმულირება არის ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მარკეტინგისათვის, შემდეგ მოდის ბრენდის რეპუტაციის ამაღლება და გაყიდვები. ავტორიტეტულ ციფრულ პლატფორმა Olapic-ზე მოცემულია საინტერესო კვლევები გავლენის მარკეტინგზე, სადაც ყურადღება გამახვილებულია კეთილგანწყობილ მომხმარებელზე, რომელიც ხელს უწყობს მყიდველისგან შეძენის პროცესს. საინტერესოა ასევე კვლევის შედეგები მომხმარებელთა ჩართულობის შესახებ მათი ასაკისა და გენდერული ნიშნის მიხედვით:

- 23-34 წლის მომხმარებლების 43 % Facebook-ის მიმდევრებია ;
- 19-24 წლის მომხმარებლების 53 % მიმდევრებია Instagram-ზე ;
- 45 წლის ზევით ნაკლებად არიან მიმდევრები;
- ბებიბუმერები (Baby Boomer) 55-69 წლამდე მომხმარებლები საერთოდ არც განიხილავენ გავლენის მარკეტინგს.
- ქალები უფრო მეტად ჩართულები არიან Instagram-ზე , როგორც მიმდევრები, მაშინ როდესაც მამაკაცები უპირატესობას ანიჭებენ YouTube-ის გამოყენებას. (Connolly 2019, Williams 2019).

ქვემოთ მოცემულია თუ როგორ იყენებენ ბრენდები გავლენის მარკეტინგს.

გავლენის მარკეტინგი - ბრენდებისათვის

დიაგრამა 2



წყარო: *Influence Marketing 2019, Benchmark Industry Mediakix, <https://mediakix.com/blog/influencer-marketing-effectiveness/>*

მომხმარებელთა 82% ყველაზე საინტერესო და ხელმისაწვდომ პლატფორმად მიიჩნევს ინსტაგრამს. 46% - ფეისბუქს მოიხმარს, 46% - YouTube-ს, 24% - Twitter-ს, 12% - LinkedIn-ით უფრო მეტად B2B კომპანიები სარგებლობენ. უნდა აღინიშნოს, რომ B2B კომპანიებისათვის გავლენის მარკეტინგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება (Booth,2019).

გავლენის მარკეტინგი აუმჯობესებს ბრენდის ხილვადობას, გავლენის მომხდენი პიროვნებები ექსპერიმენტული ცოდნითა და გამოცდილებით ზრდიან ბრენდის ცნობადობას, რითაც უბიძგებენ მომხმარებელს, რომ მან მიიღოს ყიდვის გადაწყვეტილება. ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს ბრენდის პოზიციონირებასა და მომხმარებელთა ლოიალურობას. ლამბერტისა და სტეფანის აზრით, სოციალური ქსელები, შეიძლება ითქვას, ერთი პირის მარკეტინგია (WOM), რომელიც დიდი როლს ასრულებს პროდუქციის გაყიდვების სტიმულირებისათვის, მომხმარებელთა მოსაზიდად. ბოლო პერიოდში არის ტენდენცია, რომ ვიზუალური გამოსახულება და ვიდეო უფრო მეტად ზემოქმედებს მომხმარებელზე, მაგალითად, Instagram и Snapchat (Lamberton and Stephen 2016).

გავლენის მარკეტინგში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მისი ეფექტიანობაა. მარკეტოლოგების 53% მიიჩნევს, რომ ინვესტიციების ამონაგების (ROI) ზრდა კომპანიის ეფექტიანი მართვის მაჩვენებელია.

ამიტომ, ფინანსური დანახარჯების ზრდას გავლენის მარკეტინგში დიდი ყურადღება ენიჭება. მარკეტოლოგთა 47% ფიქრობს, რომ დანახარჯები უფრო მეტად გაიზრდება, თუ გავლენის მარკეტინგზე განეული ინვესტირების ((ROI) შეფასება სისტემატურად მოხდება. წამყვანმა მარკეტინგულმა პლატფორმამ ევროპაში - Buzzoole-მა, Nielsen-ის კომპანიასთან ერთად პირველად შეიმუშავა გავლენის მარკეტინგზე განეული დანახარჯების ((ROI) შეფასების მექანიზმი. შეფასების მატრიცა მოიცავს შემდეგ პარამეტრებს: ჩართულობის და მოცვის ხარისხი, შთაბეჭდილება და განწყობა. გავლენის მარკეტინგის ეფექტიანობის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნესკომპანიებისათვის. მრავალ კვლევაში აღნიშნულია, რომ შეიმჩნევა გავლენის მარკეტინგის ბიუჯეტის ზრდა კომპანიებში, 2018 წელს ინვესტიციების ამონაგები გაიზარდა 520%-ით იმ კომპანიებში, სადაც უკვე გავლენის მარკეტინგის შეფასებას ახორციელებენ.

ბოლო წლებში გავლენის მარკეტინგი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ინდუსტრიაში, როგორცაა - ახალი ტექნოლოგიები, მოდის ინდუსტრია, მედიცინა, ტურიზმი და სხვა დარგი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ტურიზმის განვითარებაზე მარკეტინგის გავლენა სწრაფად იზრდება. გავლენიანი პირების შექმნილი კონტენტები ძალიან ღირებულია და ინსპირაციას წარმოადგენს ტურისტთა ფართო ფენის მოსაზიდად. ტურისტები იყენებენ ინსტაგრამს, ბლოგებს რომ მიიღონ სათანადო ინფორმაცია ტურისტული მიმართულებების ასარჩევად. ტურისტული სერვისების მომხმარებელთა 82% სოციალურ ქსელებში ან მოგზაურობის, მოდისა და / ან ცხოვრების სტილის გავლენის ბლოგს მიჰყვება. ფაქტია, რომ მოგზაურები ეძებენ ინფორმაციას სოციალურ ქსელებში, ყიდვის გადაწყვეტილებების მისაღებად. გარდა ამისა, კვლევის მონაცემების თანახმად, გავლენის დონე მაღალია ტურისტული დანიშნულების ადგილის, სასტუმროს მომსახურებების, ავიაკომპანიების ან ტურისტული სააგენტოს შექმნის გადანყვეტილებებში (Sigala and Gretzel 2018). ზოგადად, სოციალური ქსელების ზემოქმედება მომხმარებლებზე და მისი მარკეტინგული აქტივობა განპირობებულია უკვე არსებული პლატფორმებზე მიმართვიანობით. დომინანტი ბიზნესმოდელი ეფექტიანია სხვადასხვა პლატფორმაზე, თუ ის შეძლებს მომხმარებლის მიერ ყიდვის გადანყვეტილების მიღებას ისეთი შეთავაზებით, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ფართო ფენის მოცვას ციფრული მარკეტინგული კომუნიკაციებით (Zhang 2019).

## **დასკვნა**

სოციალური მედია თავისი ქსელებით სერიოზულ ბერკეტს ფლობს მიზნობრივ ბაზარზე მომხმარებლებზე ზემოქმედებისათვის. მრავალი წლის განმავლობაში გავლენის მარკეტინგი გამოიყენებოდა პროდუქტისა და მომსახურების სტიმულირებისათვის ბაზარზე, თუმცა მას სხვა

მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს ის გვევლინება როგორც ახალი შინაარსის მატარებელი, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს სხვადასხვა ინტერესის მქონე მომხმარებელზე, ურთიერთობის პროცესში გარკვეული ემოცია ჩამოუყალიბოს და პოზიტიურად იმოქმედოს მასზე. გავლენის მარკეტინგის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უდიდეს გავლენას ახდენს მომხმარებელზე, მათი ზემოქმედების არეალი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ძვირადღირებული რეკლამები და ბლოგები. გავლენიანი პირები უფრო რელევანტური და ავთენტური არიან, მათთან კომუნიკაცია კომპანიისა და მომხმარებლისათვის დიდად სარგებლიანია. გავლენის მარკეტინგის შესახებ მრავალფეროვანი პუბლიკაციების, ვებგვერდებისა და ბლოგების ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მნიშვნელობას კომპანიის მარკეტინგული სტრატეგიის ეფექტიან განხორციელებაში. გავლენის მარკეტინგი ხელს უწყობს სოციალური უპირატესობისა და ნდობის ფორმირების მნიშვნელობას მომხმარებელთა აღქმაში. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ გავლენის მარკეტინგს გააჩნია ძალიან დიდი პოტენციური შემდგომი განვითარებისათვის, შესაძლებელია მომავალში მნიშვნელოვნად გაიზარდოს გავლენის პირთა მიმდევართა რიცხვი, რომელიც მათ ფინანსური გაძლიერების შანს მისცემს, ასევე არსებობს მოსაზრებაც, რომ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სხვა ინსტრუმენტებიც, მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები და სხვა. რაც შეეხება კომპანიის მიერ წინასწარ მომზადებულ ტექსტებსა და მესიჯებს, ისინი ნაკლებად ეფექტიანი გახდა. სოციალური ქსელები მარკეტინგის და კომუნიკაციის მნიშვნელოვანი არხია ბიზნესისათვის. ის მუდმივად ცვლად რეჟიმშია, უწყვეტი ინოვაციებით, ამიტომ რთულია პროგნოზირება, თუ როგორ განვითარდება აღნიშნული პროცესები მომავალში (Backaler 2018).

წარმოდგენილი სტატია არის პირველი ცდა გავლენის მარკეტინგის კონცეპტუალური ანალიზისა საქართველოში. საქართველოში დარეგისტრირებული გავლენის, ანუ, როგორც ხშირად უწოდებენ, ინფლუენსერების კომპანიები ძირითადად შემოიფარგლებიან ტრენინგების, მასტერკლასის ჩატარებით, ასევე აქვთ ბლოგები ძალზე შეზღუდული ინფორმაციით. გავლენისმომხდენს ჰყავს ბრენდის მიმდევრები, თუმცა ნაკლები კომპტენციის გამო ფინანსურად ვერ ძლიერდება. როგორ აღიქვამენ მომხმარებლები გავლენის მარკეტინგს, რამდენად მიზანმიმართულად და სწორად ახდენს გავლენის მარკეტინგი ფასეული ინფორმაციის გადაცემას კომუნიკაციის გზით, შემდგომი კვლევის მიზანი უნდა გახდეს. იმედია, რომ უახლეს მომავალში შესაძლებელი იქნება გავლენის მარკეტინგის ქართული გამოცდილების შესწავლა აკადემიურ დონეზე. ვფიქრობთ, წინამდებარე სტატია დააინტერესებს როგორც პრაქტიკოს მარკეტოლოგებს, ასევე აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს.



## ლიტერატურა:

### References:

- Alves H., Fernandes Cr., Raposo M. (2016) Social Media Marketing. "Psychology and Marketing," #33-120, pp.1029-1038.
- Appel G., Grewal L., Hadi Rh., Stephen A. The Future of Social Media in Marketing Journal of the Academy of marketing Science, pp.1-17;
- Backaler J. (2018) What's Coming: The Future of Influencer Marketing. researchgate.net publication.
- Brown D., Fiorella S. (2013) Influence Marketing: How to Create, Manage, and Measure Brand Influencers in Social Media Marketing. Que Publishing, USA, pp. 51-113.
- Casalo I., Flavion C., Ibanez-Sanchez S. (2018) Influencers on Instagram: Antecedents and Consequences of Opinion Leadership. Journal of Business Research
- Delerue H., Sicotte H. (2017) Effective Communication within Project Teams: the Role of Social Media, International Journal of Conceptions on Management and Social Sciences Vol. 5, #1, pp. 357 – 278.
- Erkan I., Evan L (2016) The Influence of WOM in Social Media on Consumers' Purchase Intentions. "Elsevier, Computer in Human Behavior," pp. 47-55.
- Forbes L. (2013). Does Social Media Influence Consumer Buying Behavior. *Journal of Business & Economics Research*, Vol. 11, No. 2, pp.107-112.
- Freberg K., Graham K., McGaughy K., Freberg L. (2016) Who are the Social Media Influencers ? Public Relations Review, 37 pp. 90 -93.
- Glucksman M. (2017) The Rise of Social Media Influencer Marketing on Lifestyle Branding. Journal of Undergraduate Research in Communications, Vol. 8, No. 2 ,p.77-29.
- Hoffman D.L., Novak T.P. (1996). Marketing in hypermedia computer-mediated environments. *Journal of Marketing*, 60(3), pp.50-68.
- Jashi Ch., Urotadze E. (2019) Facilitation of online shopping Through Social media marketing. Ukrainian Scientific and Practical Conference: Modern Marketing Challenges and Solutions.
- Jashi Ch. (2018) Application of Social Marketing for Sustainable Tourism Development, International Scientific Journal In Business, Caucasus International University, pp.19-28
- Jashi Ch. (2017) Impact of Social Media Marketing on Online Customer Behavior (Georgian Case) Challenges of Marketing Communication in a Globalized World, University of Zaragoza, pp.307-310
- Jashi Ch. (2013) Significance of Social Media Marketing in Tourism. International Conference "Development of Tourism in Black and Caspian Seas Region". Tbilisi: Black Sea University .
- Kotler Ph., Hermawan K., Iwan S. (2017) Marketing 4.0. Moving from Traditional to Digital. Hoboken: John Willey Sons, Inc., pp. 13-20, 167-170
- Lamberton C., Stephen A.T. (2016). A thematic exploration of digital, social media, and mobile marketing. *Journal of Marketing*, 80(6), pp.146-172
- Lee R. (2009). Social Capital and Business and Management, British Academy of Management.

- Malhotra N. ( 2013) Basic marketing research. Upper Saddle River, NJ: Pearson education
- Nanji A. (2017). The State of Influencer Marketing in 2017.
- Rosario A., Sotgiu F., De Valck K., Bijmolt T. (2016), The Effect of Electronic Word of Mouth on Sales. *Journal of Marketing Research*, Vol. 53 (3), 297-318.
- Shah A., Zahoor S., Qureshi I. (2018) Social Media and Purchasing Behavior. *Journal of Global Marketing*
- Sigala Gretzel U. (2018) *Advances in Social Media for Travel, Tourism and Hospitality*. Routledge, pp. 147-156.
- Stephen A., Galak J. (2012). The Effects of Traditional and Social Earned Media on Sales. *Journal of Marketing Research*, 49(5), pp. 624-639 .
- Tabellion J., Esch F.R. (2019) Influencer Marketing and its Impact on the Advertised Brand, *European Advertising Academy*, pp. 29-41
- Todua N., Jashi Ch. (2015). Some Aspects of Social Media Marketing (Georgian Case). *International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic and Management Engineering*, Vol.9, No.4, pp.1160-1163.
- Todua N. (2018) *Impact of Social Media Marketing on Consumer Behavior in the Georgian Tourism Industry. International Academy Journal Web of Scholar*, 3 (5(23)). pp. 11-16.
- Todua N. (2017) Social Media Marketing for Promoting Tourism Industry in Georgia. 22nd International Conference At Zaragoza, pp. 168-171.
- Todua N. (2019) Using Social Media Marketing for Attracting Foreign Tourists to Georgian Destinations. The 4th International Conference „Actual Economic and Social problems in Modern Globalization”. European University (Tbilisi, Georgia)
- Todua N., Jashi Ch. (2013) Challenges of Social Marketing , *TSU Science*, Vol 5, pp.59-62
- Tsai W. H., Men L.R. (2017) Consumer Engagement with Brands on Social Network Sites. *Journal of Marketing Communication*, vol 23, N1, pp. 3-5
- Thota Ch. S. (2018) Social Media: A Conceptual Model of the Why`, When and How of Consumer Usage if Social Media and Implications on Business Strategies. *Journal Academy of Marketing Studies*, Volume 22, pp.3-24.
- [https:// influencerdb.com](https://influencerdb.com) › brief-history-of-influencer-marketing
- <https://www.cmswire.com> › digital-marketing
- <http://www.socialmediaexaminer.com/social-influencer-marketing-on-the-rise-new-research/>
- <https://www.socialbakers.com>“blog“micro influencers-vs-macro-influencers
- <https://www.digitalmarketing.org>“blog“what is influence marketing
- <https://blog.treasuredata.com> › blog › 2019/10/29 › influencer-vs-social-m...
- What is Influencer Marketing? Digital marketing Blog. [https:// digitalmarketing.org](https://digitalmarketing.org).2018
- <https://www.adweek.com> › digital › micro-influencers-are-more-effective-
- <https://influencermarketinghub.com>
- <https://www.themarketingscope.com/influencer>
- [www.mobilemarketer.com](http://www.mobilemarketer.com)
- <http://www.forbes.com/sites/kylewong>

- <https://www.sidebuy.com › blog/why-influencer-marketing-will-dominate>
- <https://www.themarketingscope.com/influencer-on-consumers>
- <https://www.marketingprofs.com/charts/2017/31524/the-state-of-influencer-marketing>

## **The New Context of Marketing in Social Media (Conceptual review)**

***Charita Jashi***

*Associate Professor*

*Iv.Javakishvili*

*Tbilisi State University*

*charita.jashi@tsu.ge*

This article is dedicated to the main powerful instrument of marketing – Social media, which altered the environment of marketing, customer’s habits and preferences. The growth of knowledge and experience gave customers more capability and power in the market. This article is based on more than 50 modern publications, websites and blogs. It particularly reviews conceptual aspects of social media marketing and influence marketing. Several surveys have been conducted in Georgia about social media marketing. Unfortunately, scientific work on influencer marketing is almost nonexistent.

The work refers to the different steps of the development of digital marketing, the forms and modern methods of social media and influencer marketing. Both of them impact customer’s behavior, their attitude towards different brands and facilitate decision-making process of purchasing. According to the literature, the main differences between social media marketing and influencer marketing are the following: social media marketing concentrates on the rise of popularity of specific brands, while influencer marketing plays its role to influence potential buyers to purchase their product. Influencer marketing positioning brands on social media platform giants like Facebook, Instagram, YouTube, Twitter and etc. The ability of customers to reach the fitting content makes them more mobilized during the decision-making process. Unlike traditional marketing, influencer marketing helps customers make faster and more accurate decisions towards brands and their products.

Influencer marketing promotes social advantages and the importance of trust in customers. A lot of researchers think that Influencer marketing has a big potential. It is possible that we witness the substantial increase of influence followers in the near future which will guarantee their financial stability. There is also an idea which promotes the usage of artificial intelligence algorithms

and beforehand written texts by companies will be the things of past. Social media is a very important source of communication and marketing. It is always transforming with the ongoing innovations and certainly it is very difficult to predict the future of this field.

In the current years, the influencer marketing has been used in many industries, such as design, fashion industry, tourism and medicine. Influencer content is significant and valuable for attracting tourists in the country. Influencer`s impact is high in the buying decision processes of destination places, hotel services, air tickets and tourist agencies. The role of influencer marketing is increasing daily for building effective marketing strategy.

Influencers in Georgia are mostly limited to conducting trainings, master classes and writing blogs. There are certain individuals, who aim to inspire a mass brand following, however their income is quite low. How the customers perceive influencer marketing and how correctly and purposefully the latter is used to disseminate information requires further research.

This article is the first try to create a conceptual analysis of influencer marketing in Georgia. We think that without methodological and theoretical aspects the research won't be successful and productive. Considering the importance of this issue, it is necessary to conduct comprehensive research, which should be accessible for marketers working in both practical and academic fields..

**Key words:** Social media, Social media marketing, Influencer marketing , Purchasing decision, Followers of the brand

**JEL Codes:** L82, L86, M31

## რაჭის სოფლის ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენისა და ფორმირების მეთოდოლოგიური რეკომენდაციები

**ნანა კაციტაძე**

ასოციირებული პროფესორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
nana.katsitadze@tsu.ge

**ინეზა ვანაძე**

დოქტორი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ina.vatsadze@tsu.ge

სოფლის ტურიზმში თანამედროვე ტუჩისტუდი ინდუსტრიის ეხთ-ეხით მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სახით. ეს, ხესუსების შეზღუდულობის პინციპის შესაბამისად, მოითხოვს მისი გამოყენების ხაციონალური გზების ძიებას და სოფლის ტურიზმის პირობიტეტი მიმართულებების დაგენას. ამ საკითხთან დაკავშირებით სტატიაში წახმოდგენილია სოფლის ტურიზმის პირობიტეტების გამოვლენისა და ფორმირების მეთოდოლოგიური რეკომენდაციები რი ასპექტით: პიხვედი გუდისხმობს პოტენციადის გამოვლენას სოფლის ტურიზმის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების კომპლექსური შეფასებას შემოთავაზებული პროგნოზირების ადგოხითმის მიხედვით, მეოხე კი - სოფლის ტურიზმის პროექტის შექმნის პროცესის განხორციელებისათვის ადეკვატური რეგანიზაციური მოდელების შეჩრევას სოფლის ტურიზმის მოდელების ისტოხიური ანადიზის საფუძველზე.

აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით რაჭის მაგადითზე გამოვლენილი იქნა სოფლის ტურიზმის პირობიტეტი მიმართულებები და შეჩრა ისეთი ფორმები (მოდელები), რაც შეიძლება წახმატებით იქნეს განხორციელებული რაჭის სინამდვილეში.

**საკვანძო სიტყვები:** სოფლის ტურიზმში, ტურიზმის პირობიტეტი მიმართულებები, დესტინაციის ფორმირების მეთოდოლოგია, სოფლის ტურიზმის რეგანიზაციური მოდელები.

### შესავალი

ევროკავშირის ქვეყნები სოფლად ტურიზმის განვითარებას განიხილავენ როგორც რამორჩენილი და დეპრესირებული რეგიონების ეკო-

ნომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს ალტერნატივას (Idziak W. Majewski J. Zmyslony P. 2015. 1341–1362, Kavita E. Saarinen J. 2016. 79–88). ტურიზმის ეს მიმართულება მოიხმარს სოფლად და მის ირგვლივ არსებულ მრავალფეროვან რესურსებს, შესაბამისად შესაძლებელია სოფლის ტურიზმის სხვადასხვა სახით განხორციელება. ეს ტურისტული რესურსებით მდიდარ რეგიონებს საშუალებას აძლევს უფრო მეტად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნები და ამავდროულად რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ფართო ჩართვით მიიღოს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სოფლის ტურიზმი მიმზიდველია ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რომლის თითქმის ყველა რეგიონი მდიდარია სხვადასხვა სახის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით. დღეს საერთაშორისო ტურიზმის ბაზარზე მიმდინარე ტენდენციებმა აჩვენა, რომ მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების წარმატებისათვის მნიშვნელოვანი ხდება არა იმდენად ტურისტული რესურსების არსებობა, რამდენადაც მისი ოპტიმალური გამოყენება ინოვაციური მართვის მეთოდების გამოყენებით (Katsitadze N. 2018). იმისათვის, რომ საქართველო ტურისტულ ბაზარზე გახდეს კონკურენტული, მოუწევს ამ გზების მოძიება. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თითოეულ მის რეგიონს განსხვავებული ტურისტული რესურსები, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი და განსხვავებული ტურიზმის განვითარების სიმნიფის დონე გააჩნიათ. აღნიშნული გარემოება მოითხოვს რეგიონების მიხედვით დიფერენცირებულ და ამავე დროს ყველა დონეზე ლოგიკური კავშირის მქონე ტურიზმის სტრატეგიული განვითარების პროგრამების არსებობას. სამწუხაროდ, საქართველოს რეგიონებთან მიმართებაში ან არ არსებობს ასეთი პროგრამები, ან არსებული პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი მეცნიერულად დამუშავებულ პროგნოზირების საფუძვლების ნაკლებობაზე მიუთითებს და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობას ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ ეკონომიკურ მიმართულებად აქვს გამოცხადებული.

საქართველოს დღევანდელი სოფელი განსაკუთრებით ეკონომიკურად ჩამორჩენილი და დეპრესირებული რეგიონია, განიცდის ფინანსური რესურსების მწვავე უკმარისობას. ეს, რესურსების შეზღუდულობის პრინციპის შესაბამისად, გვიბიძგებს მწირი ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების გზების ძიებისაკენ. ერთ-ერთ ასეთ გზას წარმოადგენს სოფლის ტურიზმის განვითარების საწყის სტადიაზე ორიენტაციის აღება მისი ერთი ან შეზღუდული რაოდენობის მიმართულების განვითარებაზე (ვანაძე ი. 2018.), რომელიც უნდა შეირჩეს პრიორიტეტულობის და განხორციელების ეტაპობრივი პრინციპის საფუძვლზე.

პრიორიტეტულ მიმართულებებად მოიაზრება ტურისტული აქტივობის ის სექტორი, რომელიც, ტურისტული რესურსების რაციონალური გამოყენებით, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის შექმნას და სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის უკეთესად გამოვლენის შესაძლებლობას.

ტურისტული დანიშნულების ადგილებში (დესტინაციებში) პრიორიტეტული ტურისტული მიმართულების შერჩევა და განვითარება მოითხოვს შესაბამის მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიის მიზანია ჩაჭის მაგალითზე სოფლის ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენისათვის შესაბამისი გზების ძიება და თეორიულ-მეთოდოლოგიური რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიური რეკომენდაციები შემოსაზღვრულია ორი ფაქტორით - პირველი გულისხმობს დესტინაციის განვითარებას საპროგნოზო ალგორითმის საფუძველზე, ხოლო მეორე - სოფლის ტურიზმის ორგანიზაციულ ფორმებს (მოდელებს).

აღნიშნული მეთოდოლოგია ხელს შეუწყობს ტურისტული აქტივობის განხორციელების პროცესის რაციონალიზაციას, კონკურენტული და მდგრადი ტურისტული დანიშნულების ადგილის ჩამოყალიბებას.

## **კვლევა და მისი შედეგები**

### **სოფლის ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებების პროგნოზირება**

დესტინაციაში სოფლის ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულების გამოვლენა, უპირველესად, დამოკიდებულია პოტენციალის შეფასებისათვის საჭირო მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების არსებობაზე. პრობლემა აქტუალურია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. თეორიული მნიშვნელობა იმით აიხსნება, რომ რესურსული პოტენციალის შეფასების პრობლემის გადაწყვეტაში მიღწეული წარმატების მიხედვით, შეიძლება ვიმსჯელოთ ტურისტული ინდუსტრიის მეცნიერულ-მეთოდური უზრუნველყოფის ხარისხზე, ხოლო პოტენციალის კომპონენტების რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების შეფასება, ანუ სოფლის ტურისტული რესურსების კადასტრი, აუცილებელია ამ რესურსების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრისათვის.

სოფლის ტურიზმის სფეროში რესურსების პოტენციალის შეფასება გართულებულია იმ გარემოების გამო, რომ სადღეისოდ ტურიზმის ამ სექტორისათვის ადაპტირებული კლასიფიკაცია და ტიპოლოგია არ არსებობს. ამასთან, ამა თუ იმ რესურსის პრიორიტეტულად აღიარება

დამოკიდებულია ტურისტული აქტივობის თავისებურებებზეც, რაც სოფლის ტურიზმში რესურსების კლასიფიკაციის და პრიორიტეტულობის დადგენას ართულებს. ასე მაგალითად, ჯომარდობა აქტიურად ვითარდება სოფლის ტურიზმშიც. ტურიზმის ამ სახეობის საფუძველია მთის მდინარე თავისი ჰიდროლოგიური თავისებურებებით და არა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მიუხედავად მისი კრიტიკული მნიშვნელობისა სოფლის ტურიზმში.

სოფლის ტურიზმის პრობლემატიკის სფეროში შესრულებული გამოკვლევების უმეტესობა დაფუძნებულია კონცეფციაზე, რომლის მიხედვით სოფლის ტურიზმის განვითარება ემყარება ბუნებრივ რესურსებს (Dimitrovski D.D. 2012., უკლება მ. 2009.) ტურიზმის რესურსების შესწავლის დროს პრაქტიკაში აქტიურად იყენებენ კომპონენტების დაყოფას გეოგრაფიული და დარგობრივი ნიშნის მიხედვით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბუნებრივი რესურსების გეოგრაფია, რომელიც შეისწავლის რეგიონის, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების განაწილებას და სტრუქტურას (გელდნერი ჩ. რ., რითჩი ჯ.ბ., 2013). ასეთი შესწავლის შედეგების საფუძველზე ხშირად ხდება რეგიონში სოფლის ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვის, კერძოდ, მისი მიმართულების შერჩევა, რაც არასწორად მიგვაჩნია.

ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ტურიზმი, როგორც მრავალგანზომილებიანი და ტურისტული აქტივობების სხვა აქტივობებთან გადამკვეთი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, ეფუძნება სხვადასხვა სახის რესურსის გამოყენებას. სოფლის ტურიზმი, რომელიც შეიძლება სხვადასხვა სახით განვითარდეს, კიდევ უფრო მრავალნახნაგოვანი ბუნებისაა, ვიდრე რომელიმე სხვა ტურისტული მიმართულება. ამიტომ უფრო მწვავედ დგას საკითხი დესტინაციის სისტემური გამოკვლევის მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ტურისტული პროდუქტის ფორმირების კანონზომიერებების გაგებისათვის საჭიროა ტურისტული რესურსების კომპლექსური შეფასება, რაშიც ვგულისხმობთ როგორც ძირითადი ტურისტულ რესურსების (ატრაქციები, განთავსების ობიექტები და ტრანსპორტი), ასევე იმ ფაქტორების შეფასებას, რომელიც აუცილებელია ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად.

რაჭის სოფლის ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებების დასადგენად საჭიროდ მიგვაჩნია იმის გამოკვლევა, თუ რა ტურისტული შეთავაზებების პოტენციალი გააჩნია რაჭას, რისთვისაც ტურისტული პროდუქტის შემადგენლების ე.წ. 3A - მისაწვდომობა (Accessibility), განთავსება (Accommodation), სანახაობები (Attractions) მხოლოდ რაოდენობრივი შეფასება არაასაკმარისია, რამდენადაც ტურისტული პროდუქტის მოხმარების შედეგია ტურისტული პროდუქტებით მიღებული შთაბეჭდილება, რომლის მხოლოდ რაოდენობრივი გაზომვით ვერ შევ-



ძლებს ობიექტური ინფორმაციის მიღებას. მაგალითად, ადგილის ხელ-  
მისაწვდომობა შეგვიძლია შევაფასოთ მანძილით, სატრანსპორტო სა-  
შუალებების რაოდენობითა და სახეებით, რომლის გამოყენების ალ-  
ტერნატივა ეძლევა მგზავრს. მიღებული შთაბეჭდილების გაზომვა შე-  
საძლებელია - ატრაქციების შეფასება მოითხოვს როგორც რაოდენობრივი,  
ასევე თვისებრივი მაჩვენებლებით შეფასებას, რაც მომხმარებლის ქცე-  
ვისა და მოთხოვნის ტენდენციების შესწავლის საფუძველზე უნდა გან-  
ხორციელდეს.

მაშასადამე, სოფლის ტურისტული შეთავაზებების პროგნოზირე-  
ბისთვის უნდა გაკეთდეს ანალიზი შემდეგი მიმართულებით:

➤ დანიშნულების ადგილის პროდუქტის კონცეფციის ძირითადი  
შემადგენლები (განთავსებისა და კვების ობიექტების მომსახურების პრო-  
დუქტები და ატრაქციები, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანის ხელით  
შექმნილი);

➤ ეკონომიკური მიმზიდველობა (ფულისა და დროის (დესტინაციის  
მისაწვდომობა) დანახარჯები);

➤ მომსახურების მრავალფეროვნება და უნიკალურობა.

## **ტურიზმის განვითარების პროგნოზირების ალგორითმის კონცეფცია**

ნებისმიერი მაღალი ღირებულების ტურისტული რესურსის არსებო-  
ბის გამოვლენის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელია დადასტურებულად  
მსჯელობა რეგიონში ტურიზმის ამა თუ იმ მიმართულების პრიორიტე-  
ტულობაზე, რამდენადაც მათი გამოყენების ეფექტიანობა დამოკიდე-  
ბულია იმ ფაქტორებზეც, რაც უქმნის წარმატების პირობებს ან ზღუდავს  
მას. ტურიზმის ძირითადი რესურსული პოტენციალი შეიძლება დრო-  
ებით უმოქმედოდ იყოს, მაგრამ „რალაც პირობების“ დადგომის შემ-  
დეგ შეიძლება სამეურნეო ბრუნვაში მოექცეს. სვანეთის მდიდარი ტუ-  
რისტული რესურსები, როგორც იტყვიან, „ჩვენ თვალწინ“ ამოქმედდა მას  
შემდეგ, რაც აქ შეიქმნა შესაბამისი პირობები. ამ პირობებს ტურიზმის  
მენეჯმენტის ცნობილი სპეციალისტები ჩარლზ გელდენერი და ბრენტ რიჩი  
ტურიზმის მხარდამჭერ ფაქტორებად და სიტუაციურ დეტერმინანტებად  
მოიხსენიებენ (გელდენერი, რიჩი 2013, 309-310).

ამდენად, სოფლის ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებების  
გამოსავლენად და ამ მიმართულებების განვითარების სტრატეგიული  
გეგმის შემუშავებისათვის აუცილებელია რეგიონში არსებობდეს ინფორ-  
მაცია ყველა იმ კომპონენტის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს მის  
განვითარებაზე. აღნიშნული საკითხის დასადგენად ჩამოვყალიბეთ  
ჩაჭის ტურისტული პოტენციალის შეფასების ალგორითმი, რომელშიც  
ვითვალისწინებთ ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის (UNWTO)

რეკომენდაციით შემოთავაზებულ შეფასების კომპონენტებს, რომელიც ზეგავლენას ახდენს რეგიონში ტურიზმის განვითარებაზე, კერძოდ: ატრაქციონების ხელმისაწვდომობა, განთავსებისა და მომსახურების ინდუსტრიის განვითარება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კვალიფიციური პერსონალის ხელმისაწვდომობა, ტურისტულ საქმიანობაში სახელმწიფოს დახმარება.

რეგიონში ტურიზმის განვითარების პროგნოზირების ალგორითმის კონცეფცია მოიცავს კვლევას შემდეგი მიმართულებით:

1. მოთხოვნის დადგენა. სოფლის ტურისტულ პროდუქტებზე ტურისტული ნაკადის პოტენციური მოცულობისა და სტრუქტურის დადგენა, სოფლის მომხმარებელთა სამიზნე სეგმენტის გამოყოფა;

2. დესტინაციის სოფლის ტურისტული პროდუქტის ფორმირების რესურსული პოტენციალის შეფასება შემდეგი მიმართულებით:

- ტურისტული პოტენციალის სპეციფიკის დადგენა;
- ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ანალიზი;
- მაკრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შეფასება (სატრანსპორტო კომუნიკაციები, საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ტერიტორიის მოწესრიგება და ა.შ.);

• ტურიზმის მიკრო ინფრასტრუქტურის შეფასება (მცირე და საშუალო ზომის დამხმარე საწარმოები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ტურიზმის ორგანიზაციაში - გაქირავების ადგილები, სატრანსპორტო მომსახურება და ა.შ.);

• ტერიტორიაზე მაქსიმალური დატვირთვის (ან მაქსიმალური დასაშვები ცვლილებების) დადგენა;

3. ორგანიზაციული უზრუნველყოფის სფეროს ანალიზი - სოფლის ტურიზმის მონაწილეთა საქმიანობის ინტეგრაციის შესაძლებლობათა ანალიზი; სოფლის ტურიზმისთვის მაკოორდინირებელი ცენტრების, აგრო-ტურისტულ მეურნეობათა საზოგადოებრივი გაერთიანებების, რეგიონული საკოორდინაციო ცენტრების და სხვათა საქმიანობის ანალიზი;

4. სამართლებრივი უზრუნველყოფის სფეროს ანალიზი - ნორმატიული-სამართლებრივი ბაზა და მისი შევსება აუცილებელი აქტებითა და დებულებებით (რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით);

5. ფინანსური უზრუნველყოფის სფეროს ანალიზი - სოფლის მეწარმეების შეღავათიანი დაკრედიტების სისტემის ორგანიზაცია, აუცილებელი პროფესიული მომზადების (გადამზადების) პროგრამების დაფინანსება, ინფრასტრუქტურის დაფინანსება (გზები, ელექტრო და წყალმომარაგება), სახელმწიფო და ადგილობრივი წყაროებიდან სოფლის ტურიზმის დაფინანსების შესაძლებლობები;

6. ლოჯისტიკისა და საინფორმაციო სფეროს ანალიზი - რეკლამისა და სტიმულირების სხვადასხვა საშუალების ეფექტიანობის ანალიზი და სხვა.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული პროგნოზირების ალგორითმის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მყარ საფუძვლად გამოდგება ნებისმიერი რეგიონის ტურიზმის პროგრამის ჩამოსაყალიბებლად.

მაშასადამე, ტურისტული რესურსების ეფექტიანი მენეჯმენტისათვის მიზანშეწონილია, რომ გამოიყოს შეფასების სამი მიმართულება: რესურსების რაოდენობრივი შეფასება, რესურსების თვისობრივი შეფასება, რესურსების გამოყენების შესაძლებლობების ანალიზი.

რაჭის მუნიციპალიტეტის სოფლებში ტურისტული შეთავაზებების განხორციელების შესაძლებლობების გამოსავლენად ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდოლოგიით საჭირო ოფიციალური ინფორმაცია ძალზე მწირი აღმოჩნდა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ამ რეგიონის ტურიზმის განვითარების კონცეფცია და არც ტურისტული რესურსების კადასტრი.

კვლევისათვის ოფიციალური ინფორმაციიდან გამოყენებული იქნა: ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმები, ონის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსების კვლევა (მსგავსი დოკუმენტი ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე არ არსებობს); ონის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და განვითარების ხედვა. ტურიზმის განხორციელებისათვის ხელშემწყობი სხვა ფაქტორების შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად შესწავლილი იქნა „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისათვის“. აღნიშნულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს რაჭაში ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსის სიუხვესა და მრავალგვარობას, რომელიც შეიძლება გახდეს სოფლის ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებით განვითარების საფუძველი. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილმა რეგიონის ფაქტორულმა ანალიზმა მოგვცა ინფორმაცია იმ პრობლემების შესახებაც, რომლებიც ხელს უშლიან რაჭის ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

აღნიშნული ანალიზი მოიცავს რამდენიმე ბლოკს:

- სოციალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურებები. ამ ბლოკის სუსტ მხარეებში აღნიშნულია ისეთი სახის პრობლემები, როგორცაა: რეგიონის რთული დემოგრაფიული სიტუაცია, მოსახლეობის მწირი შემოსავლები და დანაზოგების მცირე მოცულობა, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების უდიდესი ნაწილის და საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არაადაპტაციული მდგომარეობა და სხვა.

- ეკონომიკის ბლოკში აღნიშნულია შემდეგი სუსტი მხარეები: პერიფერიული მდებარეობა და გასაღების ბაზრებთან სიმორე, მოქმედი

ბიზნეს სუბიექტების უკიდურესად მცირე რაოდენობა, ძვირი საბანკო კრედიტები და კაპიტალის ალტერნატიული წყაროების არარსებობა, პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე, შრომითი რესურსების მომზადება-გადამზადების ქმედითი სისტემის არარსებობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის არაადაპტაციური მდგომარეობა, ტურისტების მოზიდვისადმი არასისტემური მიდგომა, ტურიზმის ინდუსტრიული ზონების მართვის და ტურიზმის, როგორც ბიზნესის საქმიანობის, არასაკმარისი ცოდნა, ტურისტული დასახლებებისთვის კურორტის სტატუსის არქონა, საკურორტო ზოლში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების სიმცირე, ვაჭრობისა და მომსახურების სექტორის, ინოვაციების განვითარების დაბალი დონე, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ინტენსივობა, მოძველებული საწარმოო ტექნიკური ბაზა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბალი მაჩვენებლები და რეგიონის დონეზე მათი მოზიდვის ქმედითი მექანიზმების არარსებობა და სხვა.

ამავე დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე მოიცავს ანალიზს რეგიონული ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების შეზღუდული უფლებამოსილებების, მწირი საბიუჯეტო შემოსავლების, სახელმწიფოს, ბიზნესსა და ადგილობრივ თემს შორის არასაკმარისი ვერტიკალური კავშირების შესახებ და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული სუსტი მხარეები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც ხელს უშლიან ტურიზმის განვითარებას რეგიონში და მიუხედავად იმისა, რომ რაჭა გამორჩეულია მდიდარი და უნიკალური რესურსებით, ტურიზმის განვითარების დონე დაბალია. არსებული გამოწვევების გადასაწყვეტად, პირველ რიგში, საჭიროა არსებობდეს სოფლის ტურიზმის განვითარების კონცეფცია, რომელშიც ვგულისხმობთ შეხედულებათა სისტემას ტურიზმის განვითარების პირობების შექმნის და მისი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფის მექანიზმების შესახებ.

მაშასადამე, რაჭის სოფლის ტურიზმის განვითარების კონცეფცია აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ისეთ ღონისძიებების გატარებას როგორცაა:

- სახელმწიფო მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია;
- სოფლის ტურიზმის სფეროში საინვესტიციოდ მიზიდველი პირობების შექმნა;
- რეგიონის ტურისტული რესურსების ერთიანი ბაზის შექმნა;
- რაჭის ტურისტული ადგილების ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა;
- სოფლის ტურისტული კონკურენტუნარიანი პროდუქტების შექმნისა და რეალიზაციის ხელშეწყობა;

- სოფლის ტურიზმისათვის დამხმარე ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება;
- სოფლის ტურიზმის განვითარებისათვის დაფინანსების მექანიზმის სრულყოფა;
- სოფლის ტურიზმის სფეროში საკადრო პოტენციალის განვითარება;
- სოფლის ტურიზმის სფეროში ნორმატიული და სამართლებრივი ბაზის დამუშავება;
- სოფლის ტურიზმის ინფრასტრუქტურის (გზების და სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგება) შექმნა;
- სოფლის ტურიზმის უპირატესობის პოპულარიზაცია ( ადგილობრივ ბიზნესსა და თემში) და სხვა.

### **მოთხოვნა რაჭის ტურისტულ პროდუქტებზე**

რაჭის ტურისტულ პროდუქტებზე შიდა ბაზრის მომხმარებლის მოთხოვნების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის არარსებობის გამო, დავეყრდენით ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკვლევის შედეგებს. კვლევისას გამოყენებული იქნა რესპონდენტთა ანკეტური გამოკითხვის მეთოდი. გამოკვლევის მიზნობრივ რესპონდენტთა ჯგუფის ჩამოყალიბებისათვის გამოყენებული იყო ორი კრიტერიუმი: რესპონდენტის ინფორმირებულობა სოფლის ტურიზმის სფეროში და რესპონდენტის პრეფერენციული დამოკიდებულება საქართველოს ბრენდული კურორტებისა და სოფლად დასვენებისადმი. სულ გამოკითხული იქნა 282 რესპონდენტი.

რესპონდენტთა ჯგუფი, რომლებსაც აქამდე არაფერი გაუგიათ სოფლის ტურიზმის შესახებ, ჩვენი მიზნისათვის ნაკლებად მიმზიდველია. საუკეთესოა ჯგუფი, სადაც შედიან რესპონდენტები, რომელსაც ჰქონდათ ინფორმაცია სოფლის ტურიზმის შესახებ („გამიგია და მისარგებლია“ - 28%). რეპრეზენტატიულობის გაზრდის მიზნით გამოყენებული იყო ის ჯგუფიც, რომლის წევრებს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ სოფლის ტურიზმის შესახებ (53%) და წინასწარი ახსნა-განმარტება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გარკვეულიყოვნენ სოფლის ტურიზმის რაობაში. საქართველოს ბრენდული კურორტებისა და სოფლის ტურიზმისადმი უპირატესი არჩევანის დასადგენად, მათ უპასუხეს კითხვაზე: „რომელ ვარიანტს აირჩევდით საქართველოში დასასვენებლად?“ ა) რომელიმე ბრენდულ კურორტზე დასვენებას; ბ) სოფელში დასვენებას, სადაც ბუნების წიაღში შესაძლებელია სხვადასხვაგვარი ტურისტული აქტივობის განხორციელება. 237 რესპონდენტიდან 76.3% (181 კაცი), უპირატესობა მიანიჭა სოფლად დასვენებას და ამ ჯგუფის ბაზაზე გაგრძელდა კვლევა ჩვენ წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტისათვის სოფლის ტურიზმის სხვადასხვა სახის მიმართ პოტენციური მომხმარებლის დამოკიდებულების გამოკვლევისათვის. (იხ.ცხრილი).

**პოტენციური მომხმარებლის დამოკიდებულება სოფლის ტურიზმის სახეობებისადმი**

№	განსახორციელებელი ტურისტული აქტივობა	დადებითი	% -ით მთლიანის მიმართ
1	ქალაქური ორომტრიალიდან თავის გარიდება და სოფლის იდილიურ, წყნარ, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენება	91	50,2
2	მევენახეობა-მელვინეობის გაცნობა და ღვინის დეგუსტაცია მარანში	27	14,9
3	სამკურნალო-გამაჯანსაღებელი საშუალებებით სარგებლობა	22	12,2
4	ადგილობრივი ტრადიციული სამზარეულოს გაცნობა	19	10,5
5	ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაცნობა და სურვილისამებრ მასში მონაწილეობის მიღება	9	5,0
6	კულტურულ-ისტორიული და სხვა ღირსშესანიშნაობების ნახვა	8	4,4
7	თევზაობა	3	1,6
8	ნადირობა	2	1,1
9	სულ	181	100

